

# 1927 წლიდან თბილისის უნივერსიტეტი

24 ოქტომბერი, 2025



№ 7 [2261]



რას ისახავს მიზნად სვანეთის სოციო-კულტურული მდგომარეობის კომპლექსური მეცნიერული კვლევა ექსპედიცია სვანეთში

4 გვ.

## მზადდება სამაგისტრო პროგრამა – „ბიზნესის ტრანსფორმაცია AI-ის მეშვეობით“

ახალი სასწავლო პროგრამის შესახებ მოგვითხრობს თსუ-ს პროფესორი თემურ შენგელია



6 გვ.

რა განსხვავება აღმოაჩინა ანანო ნეფარიძემ მარტინ ლუთერის სახელობის ჰალე-ვიტენბერგის უნივერსიტეტში სწავლისას

სტუდენტი გამოცდილებასა და შთაბეჭდილებებს გვიზიარებს

9 გვ.



თსუ-ს მორიგი გამარჯვება კალათბურთში

## თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოს სუპერთასის მფლობელია!

დრამატულ, 3-ოვერტიმიან დაძაბულ ბრძოლაში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკალათბურთო გუნდმა „თსუ“ გუნდი „ქუთაისი“ ანგარიშით 113:104 დაამარცხა და სეზონის პირველი ტიტული მოიპოვა.

## ქართველ მეცნიერ-კარტოგრაფთა კიდევ ერთი საერთაშორისო აღიარება

11 გვ.



## ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტის საუკუნოვანი გზა

ინსტიტუტის კვლევები საფუძვლად დაედო ქვეყნის ეკონომიკურ სტრატეგიებს, რესურსების მართვას, ეკოლოგიურ უსაფრთხოებასა და კატასტროფების პრევენციის პოლიტიკას

3 გვ.



## სტუდენტური ფურცელი

5-12 გვ.



ეკონომიკის აქტუალური პრობლემები განიხილეს კონფერენციაზე, რომელიც პაატა გუგუშვილის 120 წლისთავს მიეძღვნა

15 გვ.



## საუკუნე გზად – თსუ საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება 100 წლისაა!

13 გვ.



ახალი წიგნი თაროზე „ადამიანის ანატომია“ – ახალი სახელმძღვანელო თსუ-ს საბუნებისმეტყველო მიმართულების სტუდენტებისათვის

7 გვ.



ქრონიკა



თსუ-ს რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ გამართა გაცნობითი ხასიათის შეხვედრა საქართველოში ისრაელის სახელმწიფოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან – ვალიდ აბუ ჰაიასთან.

შეხვედრაზე განხილულ იქნა თსუ-სა და ისრაელის საგანმანათლებლო სივრცეს შორის არსებული ურთიერთობების გაღრმავების პერსპექტივები, მათ შორის: ერთობლივი სასწავლო და კვლევითი პროექტების განხორციელება; საერთაშორისო ინიციატივებში ჩართულობის გაძლიერება; მომავალი თანამშრომლობის ახალი მიმართულებების განსაზღვრა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ნაყოფიერი პარტნიორობა აქვს ისრაელის სამ წამყვან უნივერსიტეტთან. ესენია: ბენ გურიონის სახელობის ნეგევის უნივერსიტეტი,

ბარ ილანის სახელობის უნივერსიტეტი და არიელის უნივერსიტეტი.

თსუ-ში ბაკალავრიატის საფეხურზე ხორციელდება ებრაისტიკის საგანმანათლებლო პროგრამა. 1944 წლიდან ფუნქციონირებს ებრაისტიკა-არამეისტიკის მიმართულება; ასევე მოქმედებს „ისრაელის ცენტრი“, რომელიც აქტიურადაა ჩართული ქართულ-ებრაულ სამეცნიერო კვლევით საქმიანობაში, კულტურულ ინიციატივებსა და საგანმანათლებლო ღონისძიებებში.

\*\*\*

თსუ-ში ტაილანდის ერთ-ერთი წამყვანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების – თამასატის უნივერსიტეტის (Thammasat University) წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრა მისასაღმებელი სიტყვით გახსნა თსუ-ს რექტორის მოადგილემ ერეკლე ასტახიშვილმა. შეხვედრის ფარგლებში მხარეებმა განიხილეს თანამშრომლობის გაძლიერების შესაძლებლობები, მათ შორის, სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის გაცვლითი პროგრამების განვითარება, ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელება და საერთაშორისო ინიციატივებში ჩართულობის პერსპექტივები.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და თამასატის უნივერსიტეტი მომავალშიც გააგრძელებენ ურთიერთობას საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, რაც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცის განვითარებასა და ინტერნაციონალიზაციას.



10 ოქტომბერს, თსუ-ს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ორგანიზებით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უმასპინძლა ინტერკულტურულ ტრენინგს თემაზე – „Act like a local: benefits of Intercultural Competences“, რომელიც განკუთვნილი იყო უცხოელი გაცვლითი სტუდენტებისთვის.

ტრენინგს გაუძღვა თსუ-ს ფსიქოლოგიის მიმართულების პროფესორი ეკატერინე ფირცხალავა. შეხვედრის მიზანი იყო სტუდენტებისთვის ქართულ კულტურულ გარემოსთან ადაპტაციის მხარდაჭერა და ინტერკულტურული კომპეტენციების გაღრმავება.



მონაწილეებმა იმსჯელეს კულტურულ მსგავსებებსა და განსხვავებებზე, კომუნიკაციის სტილსა და სოციალური ნორმების მნიშვნელობაზე. სტუდენტებმა მიიღეს პრაქტიკული რჩევები, რომლებიც მათ დაეხმარება ადგილობრივ საზოგადოებასა და აკადემიურ სივრცეში ინტეგრირებაში.

ტრენინგი ჩატარდა ინტერაქციულ ფორმატში, რამაც ხელი შეუწყო გამოცდილების გაზიარებას, ღია დიალოგსა და კულტურათაშორისი ურთიერთობების გაღრმავებას.

\*\*\*



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა 13 ოქტომბერს უმასპინძლა მისასაღმებელ ღონისძიებას, რომელიც საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ორგანიზებით გაიმართა. შეხვედრა მიეძღვნა 2025–2026 წლის შემოდგომის სემესტრის გაცვლით სტუდენტებს, რომლებიც სწავლას თსუ-ში აგრძელებენ.

მიმდინარე სემესტრში თსუ მასპინძლობს 26 უცხოელ სტუდენტს 9 ქვეყნის 14 პარტნიორი უნივერსიტეტიდან – საფრანგეთიდან, გერმანიიდან, ფინეთიდან, ჩეხეთიდან, პოლონეთიდან, იტალიიდან, სლოვაკეთიდან, ლატვიიდან და ესპანეთიდან.

სტუდენტებს სიტყვით მიმართეს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ხელმძღვანელმა თეა გერგედავამ და თსუ-ს ვიცე-რექტორმა ერეკლე ასტახიშვილმა. მათ ხაზი გაუსვეს უნივერსიტეტის ღირებულებებს, საერთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელობას და სტუდენტური ცხოვრების მრავალფეროვნებას.

ქართული კულტურისა და არქეოლოგიური მემკვიდრეობის შესახებ პრეზენტაცია წარადგინა პროფესორმა ვახტანგ ლიჩელმა, ხოლო თსუ-ს თვითმმართველობისა და ერაზმუსის სტუდენტური კავშირის წარმომადგენლებმა სტუდენტებს გააცნეს სოციალური და კულტურული აქტივობები, რომელშიც მათ მონაწილეობა შეუძლიათ.

\*\*\*

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უმასპინძლა მე-11 საერთაშორისო კონფერენციას თემაზე „ქართული ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები: ნართების ეპოსი კავკასიურ ფოლკლორში“. ღონისძიება მიზნად ისახავდა ქართულ-ოსური დიალოგის გაღრმავებას, კულტურული მემკვიდრეობის კვლევასა და რეგიონული თანამშრომლობის ხელშეწყობას.

კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს 120-ზე მეტმა მკვლევარმა საქართველოდან, იტალიიდან, საფრანგეთიდან, გერმანიიდან, აზერბაიჯანიდან, იაპონიიდან, ჩრდილოეთ ოსეთიდან, ჩეჩნეთიდან, ინგუშეთიდან და დაღესტნიდან.



ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, შერიგებისა და სამოქალაქო თანამშრომლობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის, კულტურის სამინისტროს, სახელმწიფო ენის დეპარტამენტისა და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, ასევე ცნობილი ოსი და ქართველი საზოგადო მოღვაწეები.

კონფერენციის გახსნა მუსიკალურად გააფორმა ანსამბლმა „ნართები“, რაც სიმბოლურად გამოხატავდა ფოლკლორის როლს კულტურათა დიალოგში.

ღონისძიების ორგანიზატორია თსუ-ს ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო კვლევითი ცენტრი. პარტნიორები – განათლების სამინისტრო, სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია, სახელმწიფო ენის დეპარტამენტი და გიორგი ახვლედიანის საზოგადოება.

\*\*\*

ინსულტის მსოფლიო ორგანიზაციის IX საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა თბილისში, სადაც მონაწილეობა მიიღეს წამყვანმა ნევროლოგი-ინსულტოლოგებმა აშშ-დან, გერმანიიდან, საფრანგეთიდან, შვედეთიდან, ფინეთიდან, კანადაიდან, ისრაელიდან, თურქეთიდან და ნორვაგიიდან. კონფერენციის მონაწილეებს მისასაღმებელი



სიტყვით მიმართა თსუ-ს რექტორის მოადგილემ ერეკლე ასტახიშვილმა.

ინსულტის მსოფლიო ორგანიზაცია წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ საერთაშორისო პლატფორმას, რომელიც მიზნად ისახავს ინსულტის – მაღალი სიკვდილიანობისა და ინვალიდობის გამომწვევი დაავადების – წინააღმდეგ ბრძოლას და გლობალური სამეცნიერო თანამშრომლობის გაძლიერებას.

კონფერენციის ადგილობრივი ორგანიზატორები იყვნენ თსუ-ს მედიცინის ფაკულტეტის ნევროლოგიისა და ნეიროქირურგიის დეპარტამენტი და საქართველოს ინსულტის ასოციაცია. ღონისძიებაში აქტიურად მონაწილეობდნენ უნივერსიტეტის პროფესორები – აკადემიკოსი რომან შაქარიშვილი, პროფესორი ალექსანდრე ცისკარიძე და თსუ-ს კურსდამთავრებული, აშშ-ში მოღვაწე მეცნიერი, პროფესორი ალექსანდრე რაზუმოვსკი.

კონფერენცია განხორციელდა საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით და მიზნად ისახავდა ინსულტის კვლევის საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას, სამეცნიერო დიალოგის გაღრმავებას და მედიცინის სფეროში ინოვაციური მიდგომების განვითარებას.

\*\*\*

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ამანისა და სპარსეთის ყურის სტრატეგიული კვლევების ცენტრს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომელსაც ხელი მოაწერეს თსუ-ს რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ და სტრატეგიული კვლევების ცენტრის თავმჯდომარემ, დოქტორმა, ელჩმა მოჰამედ ისა ალა-ადვანმა.

შეთანხმება ითვალისწინებს ერთობლივი სამეცნიერო და საგანმანათლებლო პროექტების, კვლევების განხორციელებას; ისტორიის, დამწერლობის შესწავლას; ცოდნისა და გამოცდილების გაცვლას; კულტურული თანამშრომლობის გაღრმავებას; ისტორიული ცნობებისა და წყაროების გაციფრულებას.



შეხვედრისას თსუ-ს რექტორმა გამოკვეთა ორი პრიორიტეტული მიმართულება: საერთაშორისო კონფერენციების ციკლი, რომელიც გააანალიზებს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებს და, აგრეთვე, ღია წყაროების კვლევა საქართველოს შესახებ.

ჯაბა სამუშიამ ასევე ხაზი გაუსვა უნივერსიტეტის მზაობას – გააძლიეროს საერთაშორისო პარტნიორობა და ხელი შეუწყოს კულტურათა დიალოგს: „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მუდმივად ცდილობს გააფართოოს სამეცნიერო ურთიერთობები მსოფლიოს წამყვან აკადემიურ და კვლევით ცენტრებთან. ჩვენი მიზანია, ცოდნის გაზიარებითა და ერთობლივი კვლევებით დავახლოვოთ საზოგადოებები და ხელი შეუწყოთ განვითარების საერთო მიზნებს“.

მომზადდა თსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა



# საერთაშორისო კონფერენცია – „განათლება და მეცნიერება ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში“

თსუ-ს რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ საერთაშორისო კონფერენციაში – „განათლება და მეცნიერება ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში: ინოვაციები, კვლევები და საერთაშორისო თანამშრომლობა“ – მიიღო მონაწილეობა. ღონისძიება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში გაიმართა.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა გივი მიქანაძემ სიტყვით გამოსვლისას განათლების სფეროში ხელოვნური ინტელექტის დანერგვასა და ახალი ტექნოლოგიური შესაძლებლობების განვითარების მნიშვნელობაზე ისაუბრა.

კონფერენციაზე თსუ-ს რექტორმა ჯაბა სამუშიამ ყურადღება გაამახვილა უნივერსიტეტების როლზე ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში და იმ შესაძლებლობებზე, რასაც აკადემიურ სივრცეში

ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია იძლევა. რექტორმა ისაუბრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ ხელოვნური ინტელექტის სტრატეგიაზე, რომელიც ფართო საზოგადოებისთვის რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი.

„ხელოვნური ინტელექტი არ არის მხოლოდ ტექნოლოგიური გამოწვევა – ეს არის შესაძლებლობა, რომელიც უნივერსიტეტებს აძლევს შანსს, განათლებისა და კვლევის ახალი სტანდარტები ჩამოაყალიბონ. ეს კონფერენცია კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ხელოვნური ინტელექტის მნიშვნელობას მეცნიერებისა და განათლების სფეროში და საქართველოს უნივერსიტეტების მზაობას ჩაერთონ გლობალურ პროცესებში“, – აღნიშნა ჯაბა სამუშიამ.

დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით ასევე მიმართეს მეცნი-



ერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა როინ მეტრეველმა, საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე მარიამ ლაშხმა და სხვა მოწვეულმა სტუმრებმა.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ქართველი და უცხოელი მეცნიერები, ექსპერტები, ასევე განათლებისა და მეცნიერების პოლიტიკის შემმუშავებლები. ორდღიანი კონფერენცია საქარ-

თველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, ასევე „ჰორიზონტი ევროპა“ საქართველოს ეროვნული ოფისის ორგანიზებით გაიმართა.

კონფერენციის მიზანია განათლებისა და მეცნიერების სფეროებში ხელოვნური ინტელექტის გავლენის მრავალმხრივი გაანალიზება. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო შემდეგ მიმართულებებს: განათლების სისტემების მოდერნიზაციისთვის საჭირო სტრატეგიული პრიორიტეტების განსაზღვრა; სამეცნიერო კვლევების ტრანსფორმაციის შეფასება ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობების გამოყენებით; ეთიკური და სამართლებრივი საკითხების განხილვა, რომლებიც უკავშირდება ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაციას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

## ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტის საუკუნოვანი გზა

თამარ ღაღანიძე

მეცნიერებას დღევანდელ საქართველოში პოპულარიზაციის პრობლემა უდგას. ამიტომ, ხშირად არ ვიცით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ესა თუ ის დარგი ქვეყნის განვითარებისთვის. გეოლოგია უდიდეს როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში. ის იკვლევს მიწის წიაღის შედგენილობას, სტრუქტურას და რესურსებს. გეოლოგია ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი საყრდენია, რადგან სწორედ ის იძლევა ინფორმაციას წიაღისეულ რესურსებზე, რომლებიც მრეწველობის, ენერგეტიკისა და ეკონომიკის საფუძველს ქმნის. სასარგებლო წიაღისეული, როგორცაა სხვადასხვა მეტალები, მაგალითად, ოქრო, სპილენძი, ტყვია, თუთია, მანგანუმი და სხვ., უზრუნველყოფს სამთო-მეტალურგიული მრეწველობის განვითარებას; სანავიგაციო წიაღისეული, როგორცაა ნავთობი, ბუნებრივი გაზი და ქვანახშირი, ენერგეტიკული უსაფრთხოების გარანტიაა და ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობას განაპირობებს; არამეტალური ნედლეული – სამშენებლო მასალები, კირქვა, თიხა, ქვიშაქვა, გრანიტი, ბაზალტი, აუცილებელია ინფრასტრუქტურისა და ურბანული განვითარებისათვის; ჰიდროგეოლოგიური რესურსები – მიწისქვეშა წყლები, თერმული და მინერალური წყაროები მნიშვნელოვან როლს ასრულებს სასმელი წყლით მოსახლეობის მომარაგებაში და, აგრეთვე, ტურიზმის სფეროში. სწორედ გეოლოგია ქმნის ამ მრავალფეროვანი რესურსების შესწავლისა და გონივრული გამოყენების მეცნიერულ საფუძველს, რაც ქვეყნის მდგრად განვითარებას უზრუნველყოფს. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია გეოლოგიის როლი ბუნებრივი საფრთხეების – მიწისძვრების, მწყერების და ეროზიის პრევენციასა და მართვაში. შედეგად, გეოლოგია არის სტრატეგიული მეცნიერება, რომელიც ქვეყნის მდგრად განვითარებასა და უსაფრთხო მომავალს უზრუნველყოფს.

საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეების საფუძვლიან შესწავლას, ქვეყნის გეოლოგიური რუკების შედგენას, მინერალური და ენერგეტიკული რესურსების გამოვლენას და, ამავე დროს,



ნოდარ ფოფორაძე

თეორიული გეოლოგიური მეცნიერების განვითარებას ეფუძნება ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტის 100 წლიანი მოღვაწეობა.

„ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტის მნიშვნელობა სცდება ერთი დარგის ფარგლებს – მისი კვლევები საფუძვლად დაედო ქვეყნის ეკონომიკურ სტრატეგიებს, რესურსების მართვას, ეკოლოგიურ უსაფრთხოებასა და კატასტროფების პრევენციის პოლიტიკას. დღესაც გეოლოგიის ინსტიტუტი წარმოადგენს მსოფლიო სამეცნიერო დიალოგის მნიშვნელოვან ნაწილს და აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო კვლევით პროცესებში. საქართველოში, რომელიც გამოირჩევა გეოლოგიური მრავალფეროვნებით, ასეთი ინსტიტუტის არსებობა თავიდანვე იყო აუცილებლობა, დღეს კი – კულტურული და აკადემიური თვითმყოფადობის განუყოფელი ნაწილი. ინსტიტუტის საუკუნოვანი მოღვაწეობა ნათლად აჩვენებს, თუ როგორ შეიძლება მცირე ქვეყანაში შექმნილი სამეცნიერო სკოლაში შეინარჩუნოს ავტორიტეტი და გახდეს გლობალური სამეცნიერო სივრცის ორგანული ნაწილი“, – აღნიშნავს ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი თამარ წუნუნავა ინსტიტუტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე – „მიღწევები და გამოწვევები გეოლოგიაში“.

კონფერენცია გახსნა თსუ-ს რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ, რომელმაც განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა გეოლოგიის ინსტიტუტის საუკუნოვანი ისტორიისა და მეცნიერებ-



თამარ წუნუნავა

ის განვითარებაში შეტანილ წვლილზე: „თქვენი შრომის შედეგად საქართველოს გეოლოგიური სკოლა აღიარებულია როგორც კავკასიის, ისე მსოფლიო მასშტაბით. ინსტიტუტის პრაქტიკული მნიშვნელობა უდიდესია – ის ქმნის ქვეყნის ბუნებრივი რესურსების, ეკოლოგიური მდგრადობისა და ეკონომიკური განვითარების საფუძველს. თითოეული თქვენგანის როლი ამ საქმეში ფასდაუდებელია“. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა ზურაბ გუდავაძემ კონფერენციის მონაწილეებს გეოლოგიის ინსტიტუტის იუბილე მიულოცა და ტსუ-ს რექტორის დავით გურგენიძის მისალმება გადასცა: „თქვენი ინსტიტუტის კოლექტივის სამეცნიერო საქმიანობამ, რომელმაც ღირსეულად წარმოადგინა საქართველოს გეოლოგთა საზოგადოება, მრავალი მნიშვნელოვანი შედეგი მოიტანა გეოლოგიური მეცნიერების თითქმის ყველა მიმართულებით. პატივით უნდა გავიხსენოთ გეოლოგთა პირველი თაობა – ალექსანდრე ჯანელიძე, ალექსანდრე თვალჭრელიძე, კალისტრატე გაბუნია, რომელთა ხელმძღვანელობით დაიწყო საქართველოში სისტემური გეოლოგიური კვლევები. მათი ღვაწლი საფუძვლად დაედო გეოლოგიური მეცნიერების განვითარებას ჩვენს ქვეყანაში“.

კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებები შეეხებოდა ისეთ ფუნდამენტურ საკითხებს, როგორცაა რეგიონული გეოლოგია, ვულკანიზმი, მეტამორფიზმი, სეისმოლოგია და, აგრეთვე, აქტუალურ პრობლემებს – ზღვის გარემოში მიკროპლასტიკით დაბინძურების განსაზღვრის მეთოდოლოგიას,

ღვარცოფების საფრთხის შეფასებას, მიწისქვეშა მტკნარი წყლის რესურსების მართვას, საქართველოს გლაუკონიტის სანედლეულო ბაზის პოტენციალსა და სხვ. მათ შორის აღსანიშნავია თ. წუნუნავა და მისი თანაავტორების ერთობლივი მოხსენება – „კავკასიონის მთავარი ქედის ზონის იალბუზის ქვეზონის ალპურამდელი ინფრასტრუქტურის ფორმირების თერმული რეჟიმი“, ზ. ლებანიძის და მისი თანაავტორების მოხსენება – „ნამარხი ნაკვალევების ახალი ადგილსაპოვებელი კავკასიონის სამხრეთი ფერდობის ალმოსავლეთი ნაწილის ცარცულ ნალექებში“, ნ. ვოლორაძისა და მისი თანაავტორების მოხსენება – „იმერეთის რეგიონის ქვევრების ნედლეულის მინერალური შედგენილობა“ და სხვ.

ღონისძიების ბოლოს გაიმართა ინსტიტუტის თანამშრომლებისთვის ა. ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტის საპატიო მედლები გადაცემის ცერემონია შეიდ ნომინაციაში:

დამსახურებული მეცნიერი – **ერეკლე გამყრელიძე**; ახალგაზრდა კადრების აღზრდის საქმეში შეტანილი წვლილისთვის – **დავით შენგელია**; ღვაწლმოსილი ქალი მეცნიერი – **მანანა ტოგონიძე**; ინსტიტუტის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის – **თამარ წუნუნავა**; წარმატებული ახალგაზრდა მეცნიერი – **ირაკლი ჯავახიშვილი**; ინსტიტუტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისთვის – **გიორგი ბერიძე**; მეცნიერების კომერციალიზაციის ხელშეწყობისთვის – **ვახტანგ ვახანია**.

**ცნობისთვის:** გეოლოგიის ინსტიტუტი თსუ-ს გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის კათედრის ბაზაზე ახალგაზრდა პროფესორის, სორბონისა და ყაზანის უნივერსიტეტების კურსდამთავრებული, ალექსანდრე ჯანელიძის ინიციატივით 1925 წლის 25 დეკემბერს დაარსდა. ეს იყო გეოლოგიური პროფილის პირველი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება საბჭოთა კავშირში. 1941 წელს ინსტიტუტი შევიდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში, 2006 წელს გადავიდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებაში, ხოლო 2010 წლიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემადგენლობაში.



# რას ისახავს მიზნად სვანეთის სოციო-კულტურული მდგომარეობის კომპლექსური მეცნიერული კვლევა

თამარ ღალიანი

თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეთნოლოგია-ანთროპოლოგიის ინსტიტუტის გუნდი ორი კვირის განმავლობაში ლენტეხისა და მესტიის მუნიციპალიტეტებში სწავლობდა სვანეთის ტრადიციულ კულტურას, ადგილობრივი ცხოვრების წესს და იმ ცვლილებებს, რომლებიც ბოლო ათწლეულებში ამ მაღალმთიან რეგიონში მომხდარ სოციალურ თუ ეკონომიკურ გარდაქმნებს უკავშირდება.

ეთნოგრაფიული ექსპედიცია სვანეთში იმ საგრანტო პროექტის – „საქართველოს საზღვრისპირა რეგიონების ტრადიციული სოციო-კულტურული მახასიათებლები და თანამედროვეობა – სვანეთი“ – ფარგლებში გაიმართა, რომელმაც შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2025 წლის საზღვრისპირა რეგიონების შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების კონკურსში გაიმარჯვა. პროექტის მონაწილეები არიან თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეთნოლოგია-ანთროპოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის წარმომადგენლები – ასოცირებული პროფესორი როზეტა გუჯეჯიანი, პროფესორი ქეთევან ხუციშვილი, დოქტორანტი ელენე ბერაია, მაგისტრანტი ანამარია ფანგანი და ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოადგილე მირიან ხოსიტაშვილი. პროექტის ხელმძღვანელია ასოცირებული პროფესორი როზეტა გუჯეჯიანი. სვანეთში მივლინების მიზანი იყო სვანეთის, როგორც სასაზღვრო ზონის, სოციო-კულტურული მახასიათებლებისა და მიმდინარე ტრანსფორმაციების შესწავლა ტრადიციულ ყოფით კულტურაში. კომპლექსური და ინტერდისციპლინური სამეცნიერო კვლევა მიზნად ისახავდა



სვანეთის, როგორც საზღვრისპირა რეგიონის, წარსულისა და თანამედროვე ვითარების ურთიერთმიმართების ფიქსაციასა და ანალიზს. რა შედეგები მივიღეთ რეგიონის კვლევისას? – ამის შესახებ გვესაუბრება თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეთნოლოგია-ანთროპოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელი, პროფესორი **ქეთევან ხუციშვილი**:

– რატომ არის მნიშვნელოვანი სვანეთის სოციო-კულტურული მდგომარეობის კომპლექსური მეცნიერული კვლევა?

– სვანეთი ოდიტგანვე საზღვრისპირა მხარე იყო და მას ისტორიის ყველა ეტაპზე მჭიდრო კავშირი ჰქონდა მოსაზღვრე ეთნოსებთან: სავირებთან, ბალყარელებთან, ყარაჩაელებთან. ამ ჯგუფებთან სვანეთი დაკავშირებული იყო კავკასიონის მთავარ ქედზე არსებული უღელტეხილებით. ეს უღელტეხილები მოქმედი იყო საბჭოთა კავშირის დანგრევამდე. მას შემდეგ უკვე ოფიციალური საზღვარი რსფსრ-სა და საქართველოს შორის ამ მონაკვეთზე გახსნილი არ არის. ისტორიულად ამ მონაკვეთზე მუდამ არსებობდა კომუნიკაცია ქართველებს, ბალყარელებსა და ყარაჩაელებს შორის, ამ ჯგუფებს მუდამ ჰქონდათ ერთმანეთში სავაჭრო-ეკონომიკური და ნათესაურ-მეგობრული დამოკიდებულება. ეს ისტორია კარგადაა შესწავლილი ქართველ ისტორიკოსთა და ეთნოლოგთა მიერ (ა. ჩარკვიანი, გ. გასვიანი, თ. მიბჩუანი, რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, ს. რეხვიაშვილი, რ. გუჯეჯიანი და სხვ.). უღელტეხილებზე და ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიაზე დღემდეა შემორჩენილი რამდენიმე ქართული საფორტიფიკაციო ნაგებობა, ქართული წარმომავლობის ნაეკლესიარები, სასაფლაოები... არაერთ ბალყარულ და ყარაჩაულ საგვარეულოს შემონახული აქვს ისტორიული ხსოვნა ოდინდელი ქართული წარმომავლობის შესახებ, რაც განაპირობებს ამ ორი ჯგუფის მუდმივ ლოიალობას საქართველოსადმი და მათ ჩაურევლობას საქართველოს სანინააღმდეგო პოლიტიკურ ქმედებებსა თუ შეიარაღებულ ესკალაციებში (რუსეთ-საქართველოს ომების დროს). აღსანიშნავია, რომ ყარაჩაულ და ბალყარულ ფოლკლორში დაცულია თამარ მეფის ხსოვნასთან დაკავშირებული მოტივები. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქართველ ეთნოლოგებს ეს არეალი არ უკვლევიათ. მნიშ-

ვნელოვანია ქართველთა, კერძოდ, სვანთა შორის შესაბამისი ეთნოგრაფიული მასალის შეკრება და მისი ჩართვა მეზობელ ხალხთა შორის მშვიდობიანი დიალოგის წარმართვის საქმეში.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში არ ჩატარებულა სვანეთის სოციო-კულტურული მდგომარეობის კომპლექსური მეცნიერული კვლევა. ცხადია, დაინერა და გამოიკა ცალკეული სფეროსა თუ კულტურის სეგმენტის შემსწავლელი ნაშრომები, მაგრამ არ განხორციელებულა სრული მეცნიერული კვლევა და ანალიზი სვანეთის ორივე მუნიციპალიტეტის თანამედროვე სოციო-კულტურული ვითარებისა, ტრადიციულისა და დღევანდელი მდგომარეობის შედარებისა. განსაკუთრებით პრობლემურია ის გარემოება, რომ მეცნიერთაგან, ძირითადად, ცალ-ცალკე შეისწავლებოდა ზემო და ქვემო სვანეთი და არ მოგვეპოვება მონოგრაფია, რომელშიც სვანეთის ორივე მხარე, ორივე მუნიციპალიტეტი ერთიან კონტექსტში იქნებოდა შესწავ-


“ ჩვენი კვლევის შედეგებს, სამეცნიერო-თეორიულთან ერთად, აქვთ გამოყენებითი მნიშვნელობაც, რადგან რეალური ვითარების ანალიზის საფუძველზე გამოტანილი დასკვნები საშუალებას გვაძლევს დავსახოთ სტრატეგიები როგორც საზღვრისპირა რეგიონის, ასევე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პერსპექტივით

ლილი და წარმოჩენილი. ამასთანავე, უაღრესად მწირია ქვემო სვანეთის შესახებ არსებულ სამეცნიერო ნაშრომთა ჩამონათვალი. შესაბამისად, აქტუალური იყო ორივე მუნიციპალიტეტში სავლე-ეთნოგრაფიული კვლევის განხორციელება; უკვე არსებული ცოდნის და მოძიებული ეთნოგრაფიული მასალის ანალიზი. საბჭოთა პერიოდის და დღევანდელი ვითარების შედარება საშუალებას მოგვცემს გამოავლინოთ ყოფის ტრანსფორმაციული ან მდგრადი სეგმენტები.

– რა ტიპის სოციო-კულტურული ტრანსფორმაციები გამოვლინდა კვლევის დროს და როგორ აისახება ისინი ადგილობრივ ტრადიციებზე?

– კვლევის დროს განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა მიმდინარე ტრანსფორმაციული პროცესებზე. დაკვირვება ავლენს, რომ მიმდინარეობს ლანდშაფტის სწრაფი გარდაქმნა, ტრადიციულ ნაგებობათა იერის შეცვლა, ჩნდება განაშენიანების ახალი ელემენტები, დიდ ნაკადად შემოჭრილი ტურისტული ინდუსტრია ქმნის ყოფის ახალ სურათს. სვანეთი ცნობილია თავისი უნიკალური კულტურული მემკვიდრეობით, სადაც ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის ცოცხალი ელემენტები – ხელნაკეთობანი, მუსიკალური საკრავები, ფერხულები, სარიტუალო საგალობლები და სხვ.) დღემდე ცოცხალია ყოფაში. მოსახლეობა ცდილობს ამ ტრადიციების შენარჩუნებას. ტურისტული ინდუსტრიის განვითარებამ დიდწილად შეცვალა მუნიციპალიტეტის, განსაკუთრებით მისი ბალსზემო ნაწილის ცენტრალური თემების (ლატალი, ლენჯერი, მესტია, მულახი) ინფრასტრუქტურა და მეურნეობის სისტემა. ცხადია, ცვლილებები შეინიშნება სხვა თემის სოფელთა ყოფაში, განსაკუთრებით ბეროს თემში. სოფლის მეურნეობის განვითარების მხრივაც არის საყურადღებო ფაქტები, კერძოდ, სვანეთის ზოგიერთ სოფლებში რამდენიმე მეურნემ დატესტა ქართული ენდემური ხორბალი. სვანეთში კვლავ არის განვითარებული მესაქონლეობა (მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, მცირედი რაოდენობით მეთხეობა, მეცხვარეობა და მეღორეობა) და მინათმოქმედება (მემინდვრეობა, მეკარტოფილეობა, მებოსტნეობა, მებალეობა). ტურიზმის ზრდამ განაპირობა სოფლის მეურნეობაში ჩართულთა რაოდენობის ზრდა, განსაკუთრებით იქ, სადაც ტურისტული ცენტრებია. თუმცა იგივე ტურისტულმა მზარდმა ნაკადმა განაპირობა ახალი სასტუმროების აგება, სწრაფი კვების ობიექტების რიცხვის ზრდა, მასში დასაქმებულთა გადამზადებისა და მოზიდვის მატება. დღეს სახეზეა ე.წ. შერეული ეკონომიკური ცხოვრება (ტრადიციული მეურნეობა და ტურიზმი). მოსახლეობა ცდილობს – შეინარჩუნოს ის ტრადიციული პრაქტიკა, რომელიც მემკვიდრეობით გადადის თაობიდან თაობაზე, მაგრამ სურს ჩაერთოს ახალი ტიპის ცხოვრების ფერხულშიც. წინა ათწლეულების განმავლობაში მესტიისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტები, ძირითადად, საზაფხულო კურორტის ზონას წარმოადგენდა, მაგრამ ახლა უკვე პოპულარული გახდა ზამთრის პერიოდისთვისაც. შევისწავლეთ ამ ახალი ფაქტორების გავლენა ყოველდღიურობაზე. ცვლილებები მიმდინარეობს ტრადიციული ყოფითი კულტურის ელემენტებშიც, რომელთა ანალიზიც ვრცლად იქნება წარმოდგენილი პროექტის შედეგად შექმნილ მონოგრაფიულ კვლევაში. მონოგრაფიული კვლევა დაიბეჭდება მომავალი წლის დასაწყისში და დაინტერესებულ მკითხველს ექნება საშუალება დეტალურად გაეცნოს კვლევის შედეგებს.

ასევე აღსანიშნავია, რომ ჩვენი კვლევის შედეგებს, სამეცნიერო-თეორიულთან ერთად, აქვთ გამოყენებითი მნიშვნელობაც, რადგან რეალური ვითარების ანალიზის საფუძველზე გამოტანილი დასკვნები საშუალებას გვაძლევს დავსახოთ სტრატეგიები როგორც საზღვრისპირა რეგიონის, ასევე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პერსპექტივით.



1927 წლიდან

# თბილისის უნივერსიტეტი



## სტუდენტური ფურცელი



**თინათინ ნეკაშვილმა ერთი სემესტრი ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტში გაატარა**

როგორ დაძლია თსუ-ს სტუდენტმა გამოწვევები, რაც ახლავს საზღვარგარეთ სწავლის გამოცდილებას

8 გვ.

**როგორ აღმოჩნდა ანასტასია გვაზავა დონ კიხოტის ქვეყანაში?**

ანასტასია გვაზავა იმ წარმატებებსაც იხსენებს, რაც თსუ-ში სწავლამ მოუტანა და გაცვლით პროგრამაში მონაწილეობას უნივერსიტეტს უმაღლის

8 გვ.

**ტრენინგები, რომლებიც დაბა ჩაქვში გაიმართა**

**თქვენი ხმა კრიზისში: ჰუმანიტარული კომუნიკაციის გაძლიერება საქართველოში**

12 გვ.



# მარიამ ანჯაფარიძე: „თსუ – ეს არის რწმენათა და იდეათა სახლი“

ჟურთხია ბაროშვილი

თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიის მიმართულების სადოქტორო პროგრამის მეხუთე სემესტრის სტუდენტისთვის, მარიამ ანჯაფარიძისთვის უნივერსიტეტი მხოლოდ უმაღლესი სასწავლო დაწესებულება არ არის. როგორც თავად აღწერს, „ეს არის რწმენათა და იდეათა სახლი“, რომელმაც ათეული წლების განმავლობაში გამოზარდა არაერთი მსოფლიო დონის მეცნიერი.

„ივანე ჯავახიშვილისა და მისი თანამოაზრეების რწმენის საფუძველს თავისუფალი მეცნიერება და პროგრესული განვითარება წარმოადგენდა. გადიოდა წლები და დამოუკიდებელი საქართველოს პირმშო – ჩვენი დედა უნივერსიტეტი – აძლიერებდა მომხდურ მტრის შეხედულებათა უკუგდებას და როგორც მერანი მიუძღოდა საკუთარ ერს დიადი საგანმანათლებლო მიზნებისკენ. საუკუნის გასვლის შემდეგაც კი დედა უნივერსიტეტი ინარჩუნებს და ავითარებს თავისი დამაარსებლების მიერ დატოვებულ მემკვიდრეობას. 21-ე საუკუნეშიც კი ჩვენი პირველი უნივერსიტეტი ანდამატივით იზიდავს ახალგაზრდების მოყრდემულ გულს. არც მე აღმოჩნდი გამოწვევის. როდესაც ცხოვრების გზაჯვარედინზე დავდექი, უნივერსიტეტის მიმართ არსებული გრძნობები იმდენად ღრმა იყო, რომ არჩევანი თავისთავად გაკეთდა“ – ამბობს მარიამი.

მარიამ ანჯაფარიძე გვიყვება, რომ უნივერსიტეტში სწავლის გადაწყვეტილება ბიძის რჩევის შემდეგ მიიღეს მან და მისმა ძმამ. მოლოდინები კი ბოლომდე გამართლდა: „სწორედ უნივერსიტეტმა მომცა მეტი მოტივაცია ჩემი



— “ —  
**მარიამის აზრით, საზგასამელია ზოგიერთი კორპუსის ინფრასტრუქტურული მდგომარეობა და სტუდენტური საცხოვრებლების ნაკლებობა, რაც უამრავი ახალგაზრდისთვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს**

— ” —  
თავის უკეთესი ვერსიის ჩამოყალიბებაში. უნივერსიტეტმა მომცა შრომის, დაფასების, ერთგულებისა და სიყვარულის უამრავი მაგალითი და მთავარი – მასწავლა, რომ თითოეული ადამიანი არის რაღაც დიადის ნაწილი, რომელსაც საკუთარი თავის გაუმჯობესებით შეუძლია სხვათა ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალოს“ – გვიზიარებს თავის ემოციას მარიამი.

რაც შეეხება პრობლემას, რაც უნივერსიტეტს უკავშირდება, მარიამის აზრით, საზგასამელია ზოგიერთი კორპუსის ინფრასტრუქტურული მდგომარეობა და სტუდენტური საცხოვრებლების ნაკლებობა, რაც უამრავი ახალგაზრდისთვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. მარიამს არაერთი საყვარელი ლექტორი ჰყავს, ვისგანაც არა მხოლოდ ცოდნას იღებს, არამედ ცხოვრებისეულ გაკვეთილებსაც: „განსაკუთრებით გამოვარჩევ ჩემს ხელმძღვანელს, ქალბატონ ნესტან სულავას. იგი არის საოცრად თავმდაბალი, თავისი საქმის უბადლო მცოდნე, რომელიც ჩემთვის უპირობო მაგალითია პროფესიის სიყვარულისა და ადამიანობის მხრივ. გამოვარჩევ, ასევე, ქალბატონ ნანა გონჯილაშვილსაც, რომლის ლექცია/სემინარები არასდროს დამავიწყდება. რა თქმა უნდა, ჩემთვის ასევე განსაკუთრებული ლექტორია ბატონი ელგუჯა ხინთიბიძეც, რომლის ლექციები და მითითებები არა მხოლოდ ცოდნას გვიღრმავებს, არამედ სწორ აზროვნებას გვიყალიბებს“.

მარიამი პირად წარმატებად თვლის უნივერსიტეტის სივრცეში მისი საყვარელი საქმის კეთების შესაძლებლობას. სწორედ უნივერსიტეტში მიღებული ცოდნით გახდა იგი საზოგადოების იმ ნაწილის წევრი, რომელზეც ბავშვობიდან ოცნებობდა. ამბობს, რომ წინ ახალი გამოწვევებია, მაგრამ აქვს ძალა და უნარი – ღირსეულად გაუმკლავდეს მათ და მიაღწიოს დასახულ მიზნებს. მისთვის სტუდენტური ცხოვრება ნივთებით სავსე ბიბლიოთეკაში გატარებულ საათებთან, დერეფნებში დასახული გეგმების შესრულებასთან და ქსეროქსის რიგებში მოთმინების გამოცდასთან ასოცირდება. რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, წინასწარ საუბარი არ სურს, თუმცა აღნიშნავს, რომ უახლოესი სამომავლო მიზნები დაკავშირებულია სადოქტორო ხარისხის მოპოვებასა და შემდგომი კვლევების გაგრძელებასთან. ამჟამად მარიამი ამუშავებს სადოქტორო თემას: ხარებისა და აღდგომის საგალობლების არქტიპთა გააზრებისათვის IX-XI საუკუნეების ჰიმნოგრაფიაში.

## მზადდება სამაგისტრო პროგრამა – „ბიზნესის ტრანსფორმაცია AI-ის მეშვეობით“



თამარ ლალიანი

თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი მიმდინარე სასწავლო წელს დაასრულებს მუშაობას 60 კრედიტთან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე: „ბიზნესის ტრანსფორმაცია AI-ის მეშვეობით“. პროგრამა შექმნილია იმისათვის, რომ სტუდენტებს მისცეს როგორც ბიზნესის საფუძვლების, ისე ხელოვნური ინტელექტის ღრმა ცოდნა, თან ერთად მოამზადოს ისინი AI-ის ეთიკური, სამართლებრივი და სოციალური ასპექტების მართვისთვის.

ეს ინოვაციური პროგრამა მსოფლიო პრაქტიკასთან თანაბრად მდგომ აკადემიურ სტანდარტს იძლევა, რაც საქართველოს საშუალებას აძლევს თანამედროვე ციფრულ ეკონომიკაში კონკურენტუნარიანი პროფესიონალები მოამზადოს.

ახალი სასწავლო პროგრამის – „ბიზნესის ტრანსფორმაცია AI-ის მეშვეობით“ – შესახებ მოგვითხრობს პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი **თემურ შენგელია**:  
– მოგეხსენებათ, რომ MBA პროგრამები, რომლებიც ხელოვნურ ინტელექტს

მოიცავს, შეიძლება რამდენიმე კატეგორიად დაიყოს.

- **MBA AI-ის სპეციალიზაციით ან კონცენტრაციით** – ეს არის ტრადიციული MBA პროგრამები, რომლებსაც დამატებული აქვს AI-ის მოდულები. სტუდენტები იღებენ ფართო ცოდნას ბიზნესის საფუძვლებზე (ფინანსები, მარკეტინგი, ოპერაციები) და, ამავე დროულად, სიღრმისეულად შეისწავლიან AI-ის გამოყენებას ბიზნესში.
- **აღმასრულებელი MBA (Executive MBA) AI-ში** – ეს პროგრამები განკუთვნილია გამოცდილი მენეჯერებისა და პროფესიონალებისთვის. ისინი აძლევენ საშუალებას არსებულ ლიდერებს, შეიძინონ ცოდნა იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყენონ AI სტრატეგიულად ბიზნესის ტრანსფორმაციისა და ინოვაციების წასახალისებლად.
- **ორმაგი ხარისხის პროგრამები (Dual Degree)** – ზოგიერთი უნივერსიტეტი გვთავაზობს ორმაგ ხარისხს, მაგალითად, MBA და მაგისტრის ხარისხს (MS) გამოყენებითი ხელოვნური ინტელექტის მიმართულებით. ეს პროგრამა საშუალებას აძლევს სტუდენტებს – მიიღონ როგორც ბიზნესის, ისე ტექნიკური ცოდნის საფუძვლები. ჩვენი პროგრამა არის კომპლექსური



თემურ შენგელია და ის მოიცავს ყველა ამ მიმართულებას.

ძირითად მოდულში გათვალისწინებული იქნება ისეთი თემები, როგორებიცაა: მანქანური სწავლება და მისი გამოყენება ბიზნესში, რომელიც განიხილავს, თუ როგორ შეიძლება მანქანური სწავლების ალგორითმების გამოყენება მონაცემების გასაანალიზებლად, ტენდენციების პროგნოზირებისთვის და გადაწყვეტილებების მისაღებად; ბიზნესის ტრანსფორმაცია AI-ის მეშვეობით – აქ სტუდენტები სწავლობენ, თუ როგორ უნდა დაინერგონ AI ტექნოლოგიები

კომპანიის სტრატეგიაში, ოპერაციებში და პროდუქტის განვითარებაში; AI-ის ეთიკა და მმართველობა, რომელიც ანალიზებს ხელოვნური ინტელექტის ეთიკურ, სამართლებრივ და სოციალურ შედეგებს და ამზადებს მომავალ ლიდერებს ამ გამოწვევების სამართავად; მონაცემთა ანალიზი – აქ სტუდენტები ეუფლებიან მონაცემთა ვიზუალიზაციას, ანალიზს და გამოყენებას, რათა მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები.

როგორც პროფესორმა თემურ შენგელიამ აღნიშნა, მსგავს პროგრამებს მსოფლიოში ცნობილი უნივერსიტეტები გვთავაზობენ, ესენია: **Cardiff University** (კარდიფის უნივერსიტეტი), **Arden University** (არდენის უნივერსიტეტი), **Rutgers Business School** (რატგერსის ბიზნეს სკოლა), **St. John's University** (სენტ ჯონის უნივერსიტეტი), **University of Hertfordshire** (ჰერტფორდშირის უნივერსიტეტი). შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს გააჩნდეს ამ ტიპის ერთწლიანი სამაგისტრო პროგრამები, რომლებიც ორიენტირებულია ამ სფეროში ცოდნის გაღრმავებაზე.

# „ადამიანის ანატომია“ – ახალი სახელმძღვანელო თსუ-ს საბუნებისმეტყველო მიმართულების სტუდენტებისათვის

ენიო ჩარაჰიანი

თსუ-ს გამომცემლობამ ახალი ნიგნი „ადამიანის ანატომია“ გამოსცა – პირველი ანატომიის სახელმძღვანელო საქართველოში, რომელიც სპეციალურად საბუნებისმეტყველო მიმართულების სტუდენტებისთვის შეიქმნა; სახელმძღვანელოში ადამიანის აგებულების ტრადიციულ აღწერასთან ერთად ანატომია შედარებით და ევოლუციურ ასპექტებშიცაა წარმოდგენილი.

ნიგნზე რამდენიმე წლის განმავლობაში მუშაობდნენ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის უფროსი თაობისა და ახალგაზრდა თაობის პედაგოგები – ემერიტუს პროფესორი მიხეილ გედევანიშვილი, თინათინ კვინტრაძე და ასოცირებული პროფესორი ირინა მოდებაძე.

სახელმძღვანელო ერთ-ერთი ავტორი მიხეილ გედევანიშვილი აღნიშნავს: „ანატომია ადამიანის შემსწავლელი უძველესი სამეცნიერო დარგია, მას ხანგრძლივი ისტორია აქვს: მეცნიერული ანატომიის საფუძვლები უკვე ანტიკურ ბერძნულ ხელნაწერებში გვხვდება (VI ს), თუმცა ე.წ. აღწერილობითი ანატომია, როგორც სპეციალური დისციპლინა, საბოლოოდ, მე-16 საუკუნეში ჩამოყალიბდა ანდრე ვეზალიუსის მიერ.

შემდეგ, მე-17 საუკუნიდან ანატომია სხვა ბიოლოგიურ მეცნიერებებთან კავშირში ვითარდებოდა – უფრო მეტიც, არსებითად ყველა თანამედროვე მორფოლოგიური დისციპლინა (ჰისტოლოგია, შედარებითი ანატომია, ანთროპოლოგია, პალეონტოლოგია) სწორედ ანატომიური ცოდნის გაფართოებისა და გაღრმავების შედეგად აღმოცენდა. ანატომიურ ცოდნასთანაა უშუალოდ დაკავშირებული აგრეთვე ცოცხალ ფორმათა წარმოქმნის, სისტემატიკისა და ევოლუციის პრობლემებიც“.

თსუ-ში ადამიანის ანატომიას მხოლოდ ერთი სემესტრი აქვს დათმობილი – სულ 15 ლექციაა. ნიგნის ავტორების თქმით, სწორედ ამიტომ გახდა საჭირო ისეთი სასწავლო პროგრამის დამუშავება, რომელიც ბიოლოგიური თვალსაზრისით ძირითად ინფორმაციას მოიცავდა და სამედიცინო განათლების მოთხოვნილებებისაგან ერთობ განსხვავებული იქნებოდა.


ნიგნის თანაავტორი თინათინ კვინტრაძე იხსენებს, რომ პროექტი თავიდან მხოლოდ სათანადო ანატომიური მონაცემების შეგროვებას ეხებოდა: „დავინწყეთ იმაზე ფიქრი, როგორ გაგვენაწილებინა აღწერილობითი მასალა 15 მეცადინეობაში ისე, რომ სტუდენტს ადამიანის ორგანიზმის ყველა სისტემის შესახებ გარკვეული ცოდნა შეეძინა – გვინდოდა ყურადღება გაგვემახვილებინა ან-

ატომიურ სტრუქტურებზე, რომელთა მნიშვნელობის ცოდნაც აუცილებელია ბიოლოგებისათვის“.

სახელმძღვანელოსათვის საილუსტრაციო მასალის შერჩევა და წარწერების შინაარსობრივი ინტერპრეტაცია ნიგნის მესამე ავტორის – ირინა მოდებაძის დამსახურებაა. საილუსტრაციო მასალა, ანატომიის სხვა სახელმძღვანელოებისაგან განსხვავებით, ნიგნში ყოველი თავის ბოლოშია მოყვანილი ისე, რომ ის მცირე ატლასების დანიშნულებასაც ასრულებს. თავის მხრივ, მასალის ამგვარი განლაგება სტუდენტს ტექსტუალური აღწერილობისა და გამოსახულების შეჯერებას უადვილებს. ილუსტრაციები მრავალრიცხოვანი არ არის, მაგრამ შერჩეულია იმგვარად, რომ ნათლად ჩანდეს ობიექტის აგებულების ზოგადი გეგმაც და ამ ობიექტისთვის დამახასიათებელი დეტალებიც. პროფესორი ირინა მოდებაძე აღნიშნავს, რომ ილუსტრაციებზე მუშაობის გარდა მას ტექსტის შინაარსობრივ მხარეებზეც უხდებოდა მუშაობა. „ჩემთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა უფროს თაობასთან თანამშრომლობა აღნიშნულ საკითხებზე“, – ამბობს იგი.

დაბოლოს, ავტორებს სამომავლოდ მეორე, განახლებული გამოცემის მომზადებაც აქვთ ჩაფიქრებული.

საბუნებისმეტყველო მიმართულების



სტუდენტებისთვის ადამიანის ანატომიის თანამედროვე სახელმძღვანელოს შექმნის აუცილებლობა უეჭველია. ავტორებს იმედი აქვთ, რომ ანატომიის ახალი სახელმძღვანელოს გამოცემა, რომელიც ტრადიციულ აღწერილობით ანატომიასა და თანამედროვე ბიოლოგიურ კონცეფციებსაც ეყრდნობა, სასარგებლოა ახალი თაობის სტუდენტებისა და პედაგოგებისთვის.

## უშანგი სამადაშვილის ახალი მონოგრაფია ეკონომიკის წინაშე არსებულ გამოწვევებზე


თამარ ღალიანი

თბილისის გამომცემლობა „უნივერსალმა“ გამოსცა ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის უშანგი სამადაშვილის მონოგრაფია – „ბიზნესის სიმეტრიული განვითარება – ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის საშუალება საქართველოში“.

ნაშრომი წარმოაჩენს საქართველოს ეკონომიკის წინაშე არსებულ გამოწვევებს: ბიზნესის უთანაბრო განვითარებას რეგიონულ, დარგობრივ და გენდერულ ჭრილში, ასევე ქვეყნის გარე სამყაროსთან ერთმხრივ ინტეგრაციასა და ინოვაციური მენარმეობის სუსტ მდგომარეობას. ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ საქართველოსთვის მხოლოდ ეკონომიკური ზრდა საკმარისი არ არის – აუცილებელია ინკლუზიური ზრდა, რაც გულისხმობს ქვეყნის ყველა რეგიონის, სექტორისა და სოციალური ჯგუფის თანაბარ მონაწილეობას განვითარებაში.

„ეკონომიკური პროგრესი მხოლოდ მაშინ გადაიქცევა საერთო კეთილდღეობად, როცა ბიზნესის განვითარება სიმეტრიულ ხასიათს მიიღებს და მოსახლეობის ყველა ფენა თანაბრად ჩაერთვება ეკონომიკურ პროცესებში“, – აღნიშნავს უშანგი სამადაშვილი.

„ნაშრომში ახსნილია ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის არსი და მნიშვნელობა; დასაბუთებულია, რომ საზოგადოების საყოველთაო და დიფერენციული კეთილდღეობის საუკეთესო საშუალებაა ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა, ანუ ეკონომიკაში საყოველთაო ჩართულობა და გაზრდილი შემოსავ-



ლის მისამართიანი განაწილება, რასაც საქართველოში აფერხებს ბიზნესის ასიმეტრიული განვითარება რეგიონულ, დარგობრივ და გენდერულ ჭრილში, ასევე გარემოსთან უპირატესად ცალმხრივი სავაჭრო-ეკონომიკური ინტეგრაცია და ინოვაციური მენარმეობის ნაკლებ განვითარებულობა. ნაჩვენებია, რომ გრძელვადიანი ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის წინაპირობა მდგრადი და პროგნოზირებადი სტაბილურობაა, რისი გარანტიც საშუალო ფენაა. საშუალო ფენის მთავარი მაფორმირებელი კი ბიზნეს-სექტორია“, – ვკითხულობთ ნაშრომის შესავალში.

მონოგრაფიაში აღწერილია რეგიონულ ჭრილში არსებული დისბალანსი: ეკონომიკური აქტიურობის „პოლუსებად“ აღიქმება თბილისი, აჭარა, იმერეთი და ქვემო ქართლი, ხოლო რაჭა-ლეჩხუმი,

ქვემო სვანეთი, გურია, სამცხე-ჯავახეთი და მცხეთა-მთიანეთი – ეკონომიკურად ჩამორჩენილ რეგიონებად. ავტორი ხაზგასმით აცხადებს, რომ სწორედ ეს უთანაბრობა აფერხებს ქვეყნის ინკლუზიურ განვითარებას.

ნიგნის ავტორი არა მხოლოდ აღწერს პრობლემებს, არამედ საერთაშორისო გამოცდილებაზე დაფუძნებულ რეკომენდაციებსაც გვთავაზობს შემდეგ საკითხებზე: ორმხრივი სავაჭრო-ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავება; სამამულო სანარმოების შიდა და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლება; პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება და წარმოების ხარჯების შემცირება; არაგონივრული იმპორტის ჩანაცვლება, ექსპორტის წახალისება და ოპტიმიზაცია; ინოვაციური მენარმეობის ხელშეწყობა, ქალთა შრომითი

და სამენარმეო აქტივობის გაძლიერება; ასევე მცირე ბიზნესის ციფრული ტრანსფორმაცია პოსტპანდემიურ პირობებში.

ნაშრომს საფუძვლად დაედო ავტორის მიერ ბოლო წლებში გამოქვეყნებული საერთაშორისო სტატიები და კონფერენციებზე გაკეთებული მოხსენებები როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, ასევე მიზნობრივ სამეცნიერო-კვლევით პროექტებში შესრულებული თემები.

ნიგნის ავტორი მიიჩნევს, რომ ნაშრომში წარმოდგენილი ხედვები და რეკომენდაციები მნიშვნელოვან საყრდენად შეიძლება იქცეს როგორც მეცნიერებისთვის, ისე პრაქტიკოსი მეწეურებისა და მენარმეებისთვის; განსაკუთრებით კი იმ ახალგაზრდა თაობისთვის, რომელიც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიების შემუშავებაში ჩაერთვება.

სამეცნიერო კვლევა მნიშვნელოვან გზამკვლევად შეიძლება იქცეს პოსტსოციალისტური და პოსტსაბჭოური ქვეყნებისთვის, რომელთაც წინათ სოციალიზმის, ახლა კი განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მშენებლობის პრობლემების გადაწყვეტა აერთიანებთ.

მონოგრაფიის რედაქტორია ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორი იოსებ არჩვაძე. რეცენზენტებად კი თსუ-ს პროფესორი თეიმურაზ შენგელია და ასოცირებული პროფესორი შოთა ვეშაპიძე გვევლინებიან.

მონოგრაფია განკუთვნილია ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების სტუდენტებისა და მკვლევარებისთვის, პროფესორ-მასწავლებლებისთვის, ასევე ყველა იმ ადამიანისთვის, ვინც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე ზრუნავს.

# თინათინ ნეკაშვილი ერთი სემესტრი ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტში გაატარა

ენო ჯაჟალია

თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მესამე კურსის სტუდენტმა თინათინ ნეკაშვილმა ერთი სემესტრი, გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, გერმანიაში, ქალაქ ბერლინში, ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და აღმზრდელით მეცნიერებათა ფაკულტეტზე გაატარა. მას ყოველთვის სურდა საზღვარგარეთ კომპეტენციების ამაღლება და გამოცდილებების შექმნა, თუმცა, ანალიზებდა, რომ სამშობლოს სამუდამოდ დატოვება და ახალი ცხოვრების სრულიად სხვაგან დაწყება გამოწვევებთან იქნებოდა დაკავშირებული.

„ვთვლი, რომ საქართველოს ახალგაზრდების რესურსები ძალიან სჭირდება და თავს ვალდებულად ვგრძნობ, რომ ჩემი ქვეყნის განვითარებაში თუნდაც პატარა წვლილი მაინც შევიტანო. შესაბამისად, ერთ სემესტრიანი გაცვლითი პროგრამა შესანიშნავი შანსი იყო ჩემთვის, მიმელო გერმანული განათლება და გარანტირებულად დავბრუნებულყავი სამშობლოში. კონკურსის გავლა ადვილი ნამდვილად არ ყოფილა. ვთვლი, რომ თსუ-ს უამრავი წარჩინებული სტუდენტი ჰყავს, რომელთაც მრავალმხრივ განვითარებული უნარჩვევები და ცოდნა აქვთ, არა მარტო აკადემიურ სფეროში, არამედ სხვა სფეროებშიც. შესაბამისად კონკურენციაც საკმაოდ მაღალი იყო. თუმცა, აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ იმ კომპეტენტურმა ადამიანებმა, რომლებმაც ჩვენ კონკურსის ფარგლებში შეგვავსეს, ნამდვილად მოახერხეს თითოეულ ჩვენგანში ინდივიდუალურობისა და იმ მზაობის დანახვა, რომელსაც საზღვარგარეთ ცხოვრება და სწავლა მოითხოვს. ჩემი აზრით, შედეგის მიღწევაში საკუ-

თარი თავის რწმენა დამეხმარა, რომ მე ნამდვილად შესაფერისი კანდიდატი ვიყავი აღნიშნული პროგრამისთვის“, – აღნიშნავს თინათინი.

თინათინ ნეკაშვილი გერმანიაში ერთი სემესტრის განმავლობაში სწავლისას მიღებულ გამოცდილებას გვიზიარებს და ამბობს: „ჩემ მიერ ბერლინში გატარებული ნახევარწლი ნელმა იმდენად დიდი შთაბეჭდილებები და გავლენა დატოვა ჩემზე, რომ ეს შეგრძნებები ცხოვრების ბოლომდე გამყვება. საშუალება მქონდა მონაწილეობა მიმელო საერთაშორისო სტუდენტებისთვის განკუთვნილ კურსებში, რომლებიც მოიაზრებდა გერმანული კულტურისა და ისტორიის შესწავლას. თუმცა, ჩემთვის, როგორც მომავალი ფსიქოლოგისთვის, განსაკუთრებით აღმთვრთვანებელი აღმოჩნდა მსოფლიოს წამყვანი ფსიქოლოგების ჩატარებულ ლექცია-სემინარებზე დასწრება და მათგან უამრავი იდეის მიღება ფსიქოლოგიის სფეროში მიმდინარე მოვლენებსა თუ სამომავლო გეგმებზე, რომლებსაც სიხარულით ვაფუზიარებ ჩემს მშობლიურ უნივერსიტეტსა და კოლეგებს.

გარდა ამისა, შესაძლებლობა მქონდა, შევხვედროდი ადამიანებს მთელი მსოფლიოდან, სხვადასხვა კულტურისა თუ ეროვნების წარმომადგენლებს, რომლებსაც არა მარტო ჩემი ქვეყნის ტრადიციები თუ თავისებურებები გაცვანი, არამედ მათგანაც უამრავი რამ შევიტყვე ჩვენგან განსხვავებულ კულტურებზე, რამაც მასწავლა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია საზოგადოებაში ინტეგრაცია და ყველას მიმართ პატივისცემა, როდენ არსებითია მულტიკულტურულ საზოგადოებაში ტოლერანტობა და მიმღებლობა. გერმანიაში უამრავი ძვირფასი მეგობარი შევიძინე სხვადასხვა ქვეყნიდან, რომლებთანაც დღემდე უახლოესი ურთიერთობა და უამრავი გეგმა მაქვს“.



თინათინ ნეკაშვილისთვის თსუ განსაკუთრებით ძვირფასი უნივერსიტეტი, რომელიც მას მერე უფრო დააფასა, რაც გარკვეული პერიოდით სხვა ქვეყანაში ისწავლა.

თუ რით განსხვავდება სწავლების მეთოდები აქაური უნივერსიტეტისგან იმ უნივერსიტეტში, სადაც გაცვლითი პროგრამით ერთი სემესტრი გაატარა, თინათინი გვპასუხობს: „პირველ რიგში, მინდა, აღვნიშნო, რომ ჩემთვის ორივე უნივერსიტეტი უზომოდ პატივსაცემია. თსუ-ც და ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტიც სტუდენტებს საშუალებას აძლევს, მიიღონ თანამედროვე განათლება და განვითარონ უნარები. თუმცა, ვფიქრობ, ალბათ კულტურებიდან გამომდინარე, ბერლინის უნივერსიტეტში სტუდენტის მიერ მასალის დამოუკიდებლად დამუშავებაზე არიან ორიენტირებულნი. სემინარებზეც კი, კითხვა-პასუხის რეჟიმი და ლექტორთან ერთად მასალის ნაბიჯ-ნაბიჯ დამუშავება არ ხდება. რა თქმა უნდა, ლექტორს კითხვებს უსვამენ სტუდენტები და დეტალურ პასუხებსაც იღებენ, მაგრამ ჩემი პირადი გამოცდილებით, აქტიური პერსონა უმეტესწილად მხოლოდ სტუდენტია. ჩვენს უნივერსიტეტში კი, რა თქმა უნდა, დამოუკიდებლადაც ბევრს ვმუშაობთ, მაგრამ ასევე ყოველ

კვირა სემინარის ტიპის დახმარებით დეტალურად ვამუშავებთ მასალას და გაუგებარ საკითხებს ვარკვევთ. ერთის მხრივ, პირველი მეთოდი მეტ დამოუკიდებლობას გვაძლევს, მეორე მეთოდი კი შეგრძნებას გვიტოვებს, რომ ამხელა ცოდნის შექმნის პროცესში მარტონი არ ვართ და შეგვიძლია კომპეტენტური ადამიანის თანხლებით გავარჩიოთ მასალა. ამიტომ ვერ ვიტყვი, რომელი მეთოდი უკეთესი, რადგანაც ეს ყველაფერი სტუდენტის პიროვნულ თვისებებზეა დამოკიდებული – თუ რომელ მეთოდს მიიჩნევს უფრო ეფექტურს“.

თინათინი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს დაუბრუნდა და მეტი შემართებით აგრძელებს სწავლას. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში იგი ბევრ პრობლემას არ აწყდება, მაინც ამჩნევს იმ გამოწვევებს, რომელიც თსუ-ს დასაძლევს აქვს. „რა თქმა უნდა, იდეალური არც ერთი დაწესებულება არ არის, მათ შორის არც ჩვენი საუნივერსიტეტო სივრცე. ხშირად ვაწყდებით გამოწვევებს, როდესაც სასწავლო მასალა, რომელიც სხვა ენიდან ქართულადაა თარგმნილი, ხშირად რთულად წასაკითხია. მესმის, რამდენ გამოწვევასთანაა დაკავშირებული ადვილად აღსაქმელი ენით სა-მეცნიერო ლიტერატურის თარგმნა. შესაბამისად, ვისურვებდი, უფრო მეტი დრო დაეთმოს ამ საკითხზე მუშაობას და მასალები კიდევ ერთხელ ითარგმნოს, რაშიც დიდი სიამოვნებით შევიტანდი წვლილს ჩემი კომპეტენციებისა და შესაძლებლობის ფარგლებში და ვიზრუნებდი, რომ ფსიქოლოგების მომავალმა თაობებმა თავიანთ მშობლიურ ენაზე სამეცნიერო ლიტერატურის კითხვა შეძლონ“, – ასეთია თინათინის განწყობები და მზაობა, წვლილი შეიტანოს სასწავლო პროცესში მომავალი ფსიქოლოგებისთვის უკეთესი პირობების შესაქმნელად.

## როგორ აღმოჩნდა ანასტასია გვაზავა დონ კიხოტის ქვეყანაში?

ენო ჯაჟალია

ანასტასიას საკონკურსო სამოტივაციო წერილი მიგელ დე სერვანტესის დონ კიხოტის წიგნში რაინდის მიერ გაჟღერებული ციტატით იწყებოდა: „სანჩო, ერთი კაცი მეორეზე რით უკეთესობს, თუ არა იმით, რომ ერთი მეორეზე მეტ საქმეს აკეთებს?“ ...და მართლაც, კარგი საქმის კეთების მოტივაციამ ანასტასია გვაზავას კონსურსში გამარჯვება მოუტანა და სწორედ დონ კიხოტის ქვეყანაში აღმოჩნდა.

ანასტასია გვაზავა თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის მე-4 კურსის სტუდენტია. გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მან ერთი სემესტრი გაატარა ესპანეთში, გრანადას უნივერსიტეტში, რომელიც ანდალუსიის რეგიონის ქალაქ გრანადაში მდებარეობს.

„ჩემი კავშირი ესპანეთის სამეფოსთან ჯერ კიდევ 8 წლის ასაკში დაიწყო, როდესაც, როგორც აფხაზეთიდან დევნილი, აფხაზეთის სამინისტროს ბენეფიციარი ვავხდი. ყოველწლიურად, ზაფხულობით, მქონდა შესაძლებლობა მეცხოვრა ადგილობრივ ოჯახთან, შემემეცნებინა ქვეყნის კულტურა, ტრადიციები. სწორედ ეს გამოცდილება გახდა ჩემთვის ესპანური ენის შეყვარებისა და მაღალ დონეზე შესწავლის წინაპირობა, რაც საბოლოოდ საერთაშორისო სასერთიფიკატო გამოცდის (DELE) წარმატე-

ბით ჩაბარებით დავგირგვინდა. აღნიშნულმა სერტიფიკატმა კი მომცა შესაძლებლობა გრანადას უნივერსიტეტში იურიდიული განათლება მიმელო ესპანურ ენაზე. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევა, თუმცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიღებულმა საფუძვლიანმა თეორიულმა ცოდნამ ეს სირთულე მარტივად გადაამალბინა. ჩვენს ფაკულტეტზე სწავლება სიღრმისეული და ფართომასშტაბიანია. დაგროვილი ცოდნის მორგება თავისუფლად შეუძლებელი იქაური სწავლებისთვის და მეტიც, ყველა შესწავლილ დისციპლინაში შეფასების რეიტინგის ხუთეულში აღმოვჩნდი“, – ამბობს ანასტასია.

საზღვარგარეთ ერთი სემესტრი ყოფნამ მას ასწავლა საკუთარი მიზნებისკენ სვლაში შეუპოვრობის ფასი და დამოუკიდებლად ცხოვრება. როგორც თავად ამბობს, ყველაზე ძვირფასი, რაც ამ გამოცდილებამ შესძინა, არიან ადამიანები სხვადასხვა ქვეყნიდან და მათთან ურთიერთობის ბედნიერება, რომელიც მთელი ცხოვრების გზაზე გაჰყვება.

ანასტასია გვაზავა თსუ-ს მეტად ემაღიერება და იმ წარმატებებს იხსენებს, რასაც უნივერსიტეტის ნიაღვი მიაღწია: „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის მიმდინარე შესაძლებლობა ვყოფილიყავი არაერთი არაჩვეულებრივი გამოცდილების ნაწილი, რის გამოც ჩემი უნივერსიტეტის მიმართ ყოველთვის მექნება დიდი

მაღიერების გრძნობა. უნივერსიტეტი ჩემთვის არის სივრცე, რომელიც წლების მანძილზე ვიზრდებოდი პიროვნულად. გაცვლითი პროგრამაში მონაწილეობის პარალელურად მქონდა უდიდესი პატივი – ვყოფილიყავი Willem C. Vis სახელობის საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის იმპტირებული პროცესების შეჯიბრის (ე.წ. „ვის მუთი“) მონაწილე და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდთან ერთად გავემგზავრე ვენაში. ეს იყო ცოდნის გაღრმავებისა და ძვირფასი კავშირების დაგროვების კიდევ ერთი შეუფასებელი გამოცდილება“.

გრანადას უნივერსიტეტში ყოფნისას ანასტასიამ გაიცნო მიმღები უნივერსიტეტის თანამშრომლები, რომლებიც დიდი სითბოთი იხსენებდნენ თსუ-სთან პარტნიორობის ფარგლებში განხორციელებულ ვიზიტს, თსუ-ს აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს. ანასტასიას თქმით, ეს ადამიანები გამოხატავდნენ უზომო სიყვარულს როგორც უნივერსიტეტის, აგრეთვე, ზოგადად, საქართველოს მიმართ.

„გრანადას უნივერსიტეტს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისგან საერთაშორისო სტუდენტური გარემო და მათზე მორგებული სწავლების მეთოდები განსხვავებს. ვისურვებდი, მაღე ჩვენი უნივერსიტეტის კედლებშიც მენახოს ბევრი სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელი ახალგაზრდა, რომელსაც ექნება ბედნიერება – იყოს



თსუ-ს საუკუნოვანი ისტორიის ნაწილი. ვფიქრობ, დივერსიფიცირებულ გარემოში სწავლა ეგზისტენციალურად განვითარებისთვის. ესპანეთში ლექციებზე ხშირად გვქონდა ღია დისკუსიები, ჩემი კოლეგები კი ყოველთვის დიდი ინტერესით ისმენდნენ ქართული იურისპრუდენციის მიდგომას“, – აღნიშნავს ანასტასია, რომელიც ესპანეთიდან დაბრუნებისთანავე კვლავაც შეუდგა სწავლას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. გაცვლითი პროგრამით საზღვარგარეთ ყოფნისას იგი კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ თსუ გამოირჩევა კოლეგიალურობით და ერთიანობის განცდით სტუდენტებში. „სწორედ ეს მიკუთვნებულობის განცდა არის ურთიერთდახმარების, სიყვარულისა და წარმატების საწინდარი“, – ასეთია ანასტასია გვაზავას დასკვნა, რომელიც უნივერსიტეტის ნაკლებ საუბრის დროს გამოთქვამს სურვილს – ამ სივრცეში მეტი ინფრასტრუქტურული სიახლეები დახვდეთ სტუდენტებს ყოველი ახალი სემესტრის დაწყებისას.



# რა განსხვავება აღმოაჩინა ანანო ნეფარიძემ მარტინ ლუთერის სახელობის ჰალე-ვიტენბერგის უნივერსიტეტში სწავლისას

ენო ხაუალია

მსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის მე-სამე კურსის სტუდენტი ანანო ნეფარიძე გაცვლითი პროგრამის ფარგლებში გერმანიაში, მარტინ ლუთერის სახელობის ჰალე-ვიტენბერგის უნივერსიტეტში, სწავლობდა. კონკურსის წარმატებით გავლასა და შემდეგ გერმანიაში სწავლის პროცესში მას გერმანული კულტურისა და ენისადმი სიყვარული დაეხმარა. მანამდე ის ოთხი წლის განმავლობაში ეუფლებოდა გერმანულ ენას და ამ ენაზე თავისუფლად საუბრობს. ანანო მშობლიურ უნივერსიტეტს დიდი შთაბეჭდილებებით დაუბრუნდა, რასაც გულითადად გვიზიარებს.

**მარტინ ლუთერის სახელობის უნივერსიტეტში სწავლა და უცხოურ აკადემიურ სტანდარტებთან ადაპტირება მას გაუჭირდებოდა, იქამდე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რომ არ მიეღო საზღვარგარეთ სწავლისთვის საჭირო ცოდნა**



მაძლევედა უფრო ფართოდ ჩავრთულიყავი სამართლებრივ სფეროში და ცოდნა პრაქტიკაშიც გამოიყენებინა. სწორედ თსუ-ს მეშვეობით შევუერთდი თინათინ წერეთლის სისხლის სამართლის საზოგადოებასაც, სადაც ვწერდი სტატიებს, მივიღე პრაქტიკული გამოცდილება და აქტიურად ჩავერთე დისკუსიებსა თუ კვლევით საქმიანობაში, – ამბობს ანანო.

დვილად გარდამტეხი აღმოჩნდა ჩემს პროფესიულ განვითარებაში, – აღნიშნავს ანანო ნეფარიძე.

მარტინ ლუთერის სახელობის უნივერსიტეტში სწავლა და უცხოურ აკადემიურ სტანდარტებთან ადაპტირება მას გაუჭირდებოდა, იქამდე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რომ არ მიეღო საზღვარგარეთ სწავლისთვის საჭირო ცოდნა.

„ჯერ კიდევ მეორე კურსზე თსუ-მ მომცა უნიკალური შესაძლებლობა მესწავლა ერთი სემესტრით ვილნიუსის უნივერსიტეტში, გამეღრმავებინა პროფესიული ცოდნა, რამაც შემდგომ დიდი როლი ითამაშა მარტინ ლუთერის უნივერსიტეტში ჩემს აკადემიურ წარმატებაში. ამასთან, თსუ-მ მომცა უდიდესი პლატფორმა პიროვნული და პროფესიული ზრდისთვის. უნივერსიტეტის ბაზაზე გამარჯვებული დებატების ტურნირები, სამეცნიერო კონფერენციები და სტუდენტური პროექტები საშუალებას

ბა იყო, რადგან რეალურ გარემოსთან მაქსიმალურად მიახლოებულ პირობებში მიხდებოდა გუნდის მართვა და სამართლებრივი არგუმენტაციის წარმოება. ამასთან, Erasmus-ის პროგრამის სპეციფიკა მოიცავდა სხვადასხვა ქვეყნის სტუდენტებისგან მათი სამართლებრივი სისტემის გაცნობასაც, რისი საშუალებითაც გავეცანი არა მხოლოდ ევროპული სახელმწიფოების სასამართლო ჩვეულებებს, არამედ ჩინეთის, თურქეთისა და აზერბაიჯანის სამართლის ნორმებსაც. მარტინ ლუთერის უნივერსიტეტში ასევე დიდი ყურადღება ექცეოდა იმასაც, რომ სტუდენტებს მაქსიმალურად მეტი ინფორმაცია გვექონოდა საერთაშორისო პროექტების შესახებ. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ლექტორმა გავაცნო ინფორმაცია დრედენის ყოველწლიური საზაფხულო სკოლის შესახებ, სადაც მოგვიანებით ონლაინ ფორმატში დავესწარი ლექციებს. ასევე მონაწილეობა მივიღე გაეროს წარმომადგენლები და ლექტორები სხვადასხვა უნივერსიტეტიდან, რომლებმაც ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ საინტერესო ცოდნა გავიზიარეს“.

გერმანიიდან დაბრუნებულ ანანო ნეფარიძეს ბევრი იდეა გაუჩნდა, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც შეიძლება დაინერგოს. მას სურვილი აქვს, უნივერსიტეტის ფარგლებში დაორგანიზდეს მეტი სტუდენტური აქტივობა. „ლექციებსა და სემინარებს შორის ინტერვალებში კარგი იქნებოდა უფრო ხშირად ტარებოდა არაფორმალური ღონისძიებები, სადაც სტუდენტები ერთმანეთს უკეთ გაიცნობდნენ, შეიძენდნენ სხვადასხვა უნარებს და იდეებსაც გაცვლიდნენ“, – გვითხრა ანანომ.

## ანი თეთრაძე: თსუ არ ჩამოუვარდება ევროპულ უნივერსიტეტებს

ენო ხაუალია

ანი თეთრაძისთვის საზღვარგარეთ სწავლა ძალიან დიდი ხნის ოცნება იყო. როგორც გვითხრობს, ალბათ მეხუთე კლასშიც არ იყო მაშინ, როდესაც ერთ-ერთ ახლობელზე გაიგო, რომ ლონდონში სწავლობდა. იმ დღიდან ანიმ ჩაიფიქრა, რომ თავადაც წავიდოდა საზღვარგარეთ სასწავლებლად და რომ მიზანს აუცილებლად მიაღწევდა. ანი თეთრაძემ, რომელიც თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტია, დიდი შრომისა და ნერვიულობაში თეთრად გათენებული ღამეების ფასად, გაცვლითი პროგრამის ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვა.

**ერთ-ერთ დიდ პრობლემად, რომლის აღმოფხვრასაც ეცდებოდა, ასახელებს იმას, რაც თსუ-ში პრაქტიკული ცოდნის მიღებასთანაა დაკავშირებული**



პროფესორებსა და ლექტორებთან ურთიერთობა ყველაზე ღირებული იყო ჩემთვის. ისინი გახდნენ „როლური მოდელები“ იმისა, თუ როგორ უნდა იყოს ფსიქოლოგი. თუმცა მათგან არ ვიღებ მხოლოდ თეორიულ ცოდნას, ისინი ძალიან მნიშვნელოვან ღირებულებებს გვაზიარებენ, რაც უკეთეს ადამიანებად გვაქცევს. ვფიქრობ, თსუ არის ადგილი, სადაც იღებ ძალიან დიდ თეორიულ ცოდნას, რომელიც ნებისმიერ ადგილას გამოგადგება. მომავალში კვლავ თსუში ვფიქრობ სწავლის გაგრძელებას და ნებისმიერ აბიტურიენტს ამასვე ვურჩევ. მგონია, რომ ამ პროფესიის შესასწავლად თსუ ერთ-ერთი საუკეთესო უნივერსიტეტია“, – აღნიშნავს ანი.

აზე. ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო ისიც, რომ გავეცანი ევროპული განათლების სისტემას და მქონდა შესაძლებლობა შეემდარებინა – როგორ ჰგავს და განსხვავდება ჩვენი და მათი ხედვა ფსიქოლოგიისადმი. ალბათ ეს იყო ჩემი „ერასმუსული ცხოვრების“ საუკეთესო ასპექტი.

დაბოლოს, ვცადე მეტად გამეცნო საქართველო უცხოელებისთვის, დაეუახლოვდი სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებს და მეტი გავიგე კულტურების, ტრადიციების და სხვადასხვა ეროვნების შესახებ. ეს ძალიან დამეხმარა, რომ მეტად ტოლერანტული გავმხდარიყავი განსხვავებებისა და, ზოგადად, მრავალფეროვნების მიმართ. ალბათ, ჩემი ცხოვრების ეს პერიოდი ყოველთვის ძალიან კარგად შემახსოვრება“, – ამბობს ანი, რომელიც ბელგიაში, ქალაქ გენტში, გენტის უნივერსიტეტში, სწავლობდა.

ანი თეთრაძე უკვე მეოთხე წელია, რაც თსუ-ში სწავლობს. ამბობს, რომ თსუ-მ ძალიან შეცვალა, როგორც პიროვნება და როგორც მოქალაქე. „ჩვენს

გვინევს ყოველკვირეული მომზადება, სემინარებზე აქტიურობა და სხვ. ლექციები გენტის უნივერსიტეტში 3 საათი გრძელდებოდა და, ჩემდა გასაკვირად, არ ჰქონდათ შუალედური გამოცდები – მხოლოდ ფინალურები და ძალიან ბევრი დავალება. მასალა, რომელსაც ვსწავლობდით, უმეტესად უახლეს კვლევებს ეფუძნებოდა და იშვიათად ვსწავლობდით ძველ კვლევებსა თუ თეორიებს, რაც, ცოტა არ იყოს, მაკვირვებდა. მიუხედავად ამ განსხვავებებისა, გენტში სწავლის მერე უფრო დავრწმუნდი, თუ რამხელა ცოდნა წავიღე თსუ-დან. უმეტესად მასალები ნაცნობი იყო და ლექციებზე უამრავი მათგანი გვექონდა განხილული. ეს ძალიან სასიამოვნო იყო, რადგან ვრწმუნდებოდი, რომ თსუ არ ჩამოუვარდება ევროპულ უნივერსიტეტებს, რაც ევროპული საქართველოს ჩამოყალიბების საიმედო ფუნდამენტს იძლევა“.

ერთ-ერთ დიდ პრობლემად, რომლის აღმოფხვრასაც ეცდებოდა, ასახელებს იმას, რაც თსუ-ში პრაქტიკული ცოდნის მიღებასთანაა დაკავშირებული.

„ჩემს პროფესიაში აუცილებელია, რომ გვექონდეს საკმაო პრაქტიკული გამოცდილება და კარგი იქნებოდა, თუ ამის დაგროვებაში უნივერსიტეტი ხელს შეგვიწყობდა. ევროპულ განათლების სისტემაში ამ ასპექტს დიდი ადგილი უკავია, რაც, ვფიქრობ, ლოგიკურია, თუმცა ასეთი განათლების სისტემის ჩამოყალიბებას ბევრი რესურსი სჭირდება. ვისურვებდი ამ საკითხზე მეტი მუშაობა და სტუდენტების დასაქმებისადმი ხელშეწყობას“, – აღნიშნავს ანი ჩვენთან საუბრისას.



# მარიამ ტყეშელაშვილის ერთი სემესტრი პალაცის უნივერსიტეტში

61600 ჰაჰულია

ოსუს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტს მარიამ ტყეშელაშვილს სწავლის დაწყების დღიდან ჰქონდა მიზნად დასახული საზღვარგარეთ ესწავლა. ამბობს, რომ ამ მიზნის მისაღწევად ბევრი შრომა დასჭირდა. გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მან ერთი სემესტრი ჩეხეთში, ქალაქ ოლომოუცში, პალაცის უნივერსიტეტში გაატარა.

„ჩემი ცხოვრების საუკეთესო პერიოდი გავატარე ჩეხეთში, საიდანაც ბევრი ახალი ინფორმაციით, ცოდნითა და მეგობრით დავბრუნდი. გავეცანი ძალიან ბევრი ქვეყნის კულტურას, ტრადიციებს. რაც მთავარია, საკუთარი ქვეყნის ენა, კერძები თუ კულტურა გავაცანი უამრავ ადამიანს, რომლებსაც იმდენად შეუყვარდათ საქართველო,



რომ დაგეგმილი აქვთ ჩამოსვლა. ევროპის შუაგულში სწავლას ის პრივილეგიაც ჰქონდა, რომ შემოდგომაზე დასასვენებლად ბევრი ქვეყანა მენახა ჩემი თვალთ. საზღვარგარეთ სწავლამ დამანახა, რომ

ჩემი შესაძლებლობები იმაზე მეტია, ვიდრე წარმომედგინა და რომ ჩემ თავს ყველაზე მეტად შემოიღია ვენდო და დავეყრდნო. პრაქტიკული კურსებით დავეუფლე ისეთ საგნებს, რომლებიც წლების განმავლობაში მაინტერესებდა და უკეთ ჩამოვყალიბდი იმაზე, თუ რისი გაკეთება მინდა მომავალში. საინტერესოა გაეცნო უცხო სწავლების მეთოდებსა და პროფესორებს და მოარგო მათ შენი გამოცდილება“, – ამბობს მარიამი.

მარიამ ტყეშელაშვილი თსუ-ს მეტად ემადლიერება და ფიქრობს, რომ სწორედ ამ წიაღში მიღებული ცოდნა დაეხმარა ჩეხეთის პალაცის უნივერსიტეტში თავდაჯერებულად ეგრძნო თავი. „თსუ-მ, კერძოდ კი, ჩემმა ფაკულტეტმა, როგორც ჩვენ ვუწოდებთ – მესამე კორპუსმა – ჩემი ცხოვრება თავდაყირა დააყენა: დაუწინაურა დღეები, ადამიანები და მოგონებები მაჩუქა. ასევე ეს

არის ადგილი, რომელიც სახლივითაა – ქვეყნის რომელ ნაწილშიც არ უნდა ვიყო, ყოველთვის მომენატრება და როცა დავბრუნდები, თავს ისევ სრულყოფილად ვიგრძობ. თსუ-მ ასევე შესაძლებლობა მომცა, რომ საინტერესო თემები მესწავლა ადამიანებისგან, რომლებიც მაძლევდნენ უდიდეს მოტივაციას. ბედნიერი ვარ, რომ განათლება ამდენად პროფესიონალი და მეგობრული ადამიანებისგან მივიღე. ასევე თსუ-მ მომცა შესაძლებლობა საზღვარგარეთ სწავლისა და იმისა, რომ ბევრ ადგილას გზასსწილი მქონოდა, მიმელო მონაწილეობა კვლევებსა თუ ტრენინგებში“, – ასე გამოხატავს მარიამი მესამე კორპუსში გატარებულ წლებზე ემოციებს, რასაც მის ცხოვრებაში დიდი დატვირთვა აქვს. ერთადერთი, რასაც შეცვლიდა, ეს უკავშირდება თსუ-ში სწავლის მეთოდების შეცვლას მეტი პრაქტიკული ცოდნის მისაღებად.

## რა შთაბეჭდილებებით დაბრუნდა მარიამ ქურდაძე სამშობლოში?

61600 ჰაჰულია

ოსუს იურიდიული ფაკულტეტის სამართლის მიმართულეების მე-3 კურსის სტუდენტი მარიამ ქურდაძე ერთი სემესტრი სწავლობდა პალე-ვიტენბერგის მარტინ ლუთერის სახელობის უნივერსიტეტში (გერმანია). მარიამი დიდი შთაბეჭდილებებით დაბრუნდა სამშობლოში. იგი აღნიშნავს, რომ გაცვლითი სემესტრი მისთვის იყო როგორც აკადემიური, ისე ცხოვრებისეული თვალსაზრისით განსაკუთრებული გამოცდილება.

„გერმანული სწავლების სტილი და განსხვავებული მიდგომები ძალიან საინტერესო აღმოჩნდა და ბევრი ახალი საგანი გავიარე. გარდა ამისა, შევიძინე მეგობრები სხვადასხვა ქვეყნიდან, უკეთ გავიცანი მათი კულტურა და მათაც

სიამაყით გავუზიარე ქართული ტრადიციები. ახალ გარემოში ადაპტაციამ დიდი პასუხისმგებლობა და თავდაჯერებულობა შემძინა. ასევე, მოვინახულე უამრავი ისტორიული და კულტურული ღირსშესანიშნაობა, რამაც მნიშვნელოვნად გააფართოვა ჩემი მსოფლმხედველობა“, – ამბობს მარიამი.

მარიამ ქურდაძე თსუ-ს მეტად ემადლიერება და აღნიშნავს, რომ სწორედ თსუ-ში მიიღო ის ცოდნა, რაც საზღვარგარეთ სწავლის გასაგრძელებლად გამოადგა. თსუ მისთვის მეგობრობასთან, ახალ შესაძლებლობებთან და მრავალფეროვან გამოცდილებასთან ასოცირდება.

„თსუ არის ადგილი, სადაც სტუდენტს შეუძლია სრულყოფილად დაეუფლოს პროფესიას და მაქსიმალურად მიიღოს ცოდნა. ლექტორებისა და სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელების დახმარე-



ბით ჩვენ არა მხოლოდ თეორიულ ცოდნას ვიღებთ, არამედ ვსწავლობთ მის სწორად გამოყენებასაც. ასევე მნიშვნელოვანია ის თავისუფლება, რაც გვაქვს საგნების, ლექტორებისა და სწავლის ფორმატის შერჩევაში. ამასთან, გაცვლითი პროგრამების სიმრავლე შესაძლებლობას გვაძლევს, რომ მივიღოთ გამოცდილება სხვა ქვეყანასა თუ უნივერსიტეტში. გვაქვს უამრავი პროგრამა და საჯარო ლექციები, რომლებიც სტუდენტებისთვის დამატებითი ინფორმაციის წყაროა“, – ასეთია მარიამის განწყობები უნივერსიტეტისადმი, სადაც საერთაშორისო სტუდენტებთან თანამშრომლობის დამატებითი შესაძლებლობების შექმნას ისურვებდა, რაც უნივერსიტეტის სივრცეს კიდევ უფრო მრავალფეროვანსა და ინოვაციურს გახდიდა.

## რა მხარდაჭერის მიღებას ელოდება უნივერსიტეტისგან გვანცა ტალახაძე?

შურთხია ბაროშვილი

გვანცა ტალახაძე თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის მიმართულებით მაგისტრატურის მე-2 კურსზე სწავლობს. რატომ აირჩია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი? – ამ კითხვაზე გვანცას თავისი მოსაზრება აქვს: „ვერ ვიტყვი, რომ აბიტურიენტების უმრავლესობის მსგავსად გამიჭირდა არჩევანის გაკეთება. ბევრი მიზეზის გამო ერთადერთი ადგილი, სადაც სწავლის გაგრძელებას განვიხილავდი, იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თსუ-ს არჩევაში გადაწყვეტი ფაქტორი იყო მისი განსაკუთრებული ადგილი ქართული ფილოლოგიის განვითარების ისტორიაში. ჩემთვის დიდი პატივი და, ამავე დროს, დიდი პასუხისმგებლობაა ვისწავლო უნივერსიტეტში, სადაც მუშაობდნენ ისეთი კორიფეები, როგორებიც იყვნენ აკაკი შანიძე, ივანე ჯავახიშვილი, კორნელი კეკელიძე – ისინი, ვინც საფუძველი ჩაუყარა ქართული ფილოლოგიის თანამედროვე სკოლას. ჩემი მოლოდინები სრულიად გამართლდა... უნივერსიტეტში, უპირველეს ყოვლისა, საუკეთესო მეგობრები შევიძინე როგორც თანაკურსელების, ისე ლექტორების სახით; გამიფართოვდა ხედვა პროფესიული განვითარებისა და კვლევითი საქმიანობ-



ის კუთხით; უნივერსიტეტმა ასევე მომცა შესაძლებლობა, ვიყო ძველი ქართული ლიტერატურის კვლევითი სივრცის ნაწილი და უშუალოდ შევეხო იმ საგანძურს, რომელიც ჩვენი ეროვნული იდენტობის საფუძველია“, – ამბობს გვანცა.

მიუხედავად ამგვარი პოზიტიური განწყობებისა, გვანცა პრობლემებზე საუბარსაც არ გაურბის. „ჩვენს უნივერსიტეტში, ვფიქრობ, საკმაოდ ბევრი პრობლემაა. პირველ რიგში შეეხება სტუდენტური საცხოვრებლების თემას. მიუხედავად იმისა, რომ მე არ ვდგავარ ამ პრობლემის წინაშე, ვიცი – რამდენად ცუდ და, შეიძლება ითქვას, სიცოცხლისთვის საშიშ პირობებში უწევთ ცხოვრება ჩემს მეგობრებს ბაგების საერთო საცხოვრებელში, ამიტომ ვისურვებდი,

რომ რაც შეიძლება მალე მოგვარდეს ეს საკითხი. შემდეგი პრობლემა, რომლის წინაშეც მრავალ სტუდენტთან ერთად მეც ვდგავარ, არის ის, რომ მაგისტრატურის სტუდენტებს არ გვაქვს ხელშეწყობა გრაფიკის თვალსაზრისით. ლექციები გვიტარდება დღის ნებისმიერ მონაკვეთში და სტუდენტები დღეობიან არჩევანის წინაშე – ან სწავლა, ან სამსახური. მაგისტრატურის სტუდენტს უკვე სრულყოფილად იაზრებს საკუთარ პასუხისმგებლობას და სწავლას აგრძელებს იმ მოტივით, რომ გაიღრმავოს ცოდნა სასურველი მიმართულებით, თუმცა, სამწუხაროდ, სამსახურის აუცილებლობიდან გამომდინარე, ვერ ახერხებს ლექციებზე დასწრებას. ბაკალავრიატის პერიოდში სრულიად გასაგებია, რომ მთელი სისტემა მხოლოდ დილის ან საღამოს სწავლების რეჟიმზე ფიზიკურად ვერ გადავა, მაგრამ მაგისტრატურის საფეხურზე ამ მხრივ უნივერსიტეტისგან მხარდაჭერის მიღება სტუდენტებისთვის აუცილებელია“.

გვანცა ტალახაძე ამ ეტაპზე საუნივერსიტეტო სივრცეში ერთ-ერთ მნიშვნელოვან წარმატებად თვლის საბაკალავრო ნაშრომს, რომელიც დადებითად შეფასდა. ამბობს, რომ ამაში დიდი წვლილი მიუძღვის მის ხელმძღვანელს, ქალბატონ ლელა ხაჩიძეს. მას აღნიშნულმა გამოცდილებამ და მიღებულ-

მა შეფასებებმა გაუმყარა რწმენა, რომ არჩეულ გზას სწორად ადგას და რომ მეცნიერული კვლევის გაგრძელება მისი პროფესიული მონოდებაა. მის საბაკალავრო ნაშრომში – „არჩილ მეფის ნამება“ (ძირითადი პრობლემატიკა) – განხილულია ქართული ჰაგიოგრაფიის ერთ-ერთი საინტერესო და ნაკლებად გამოკვლეული ძეგლი – „არჩილ მეფის ნამება“. ტექსტი მოცულობით ვრცელი არ არის, თუმცა გვანცის საინტერესო ცნობებს როგორც არჩილ მეფის, ისე მისი მოღვაწეობის პერიოდის შესახებ. გვანცა აპირებს, რომ სამაგისტრო ნაშრომშიც ამავე თემის უფრო ღრმა და საფუძვლიან კვლევას მიუძღვნას. მისი აზრით, თსუ-ში უფრო მეტად უნდა მიექცეს ყურადღება სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში სტუდენტების ჩართულობას და რომ ამ მიმართულებით უფრო ფართო პლატფორმების შექმნაა საჭირო. მისი სამომავლო გეგმებიც აკადემიურ საქმიანობას უკავშირდება. გვანცას მიზანია დაიცვას სადოქტორო ნაშრომი და აქტიურად ჩაერთოს ქართული ლიტერატურის კვლევისა და პოპულარიზაციის პროცესში. „მსურს, რომ მიღებული ცოდნა და გამოცდილება მომავალში ახალ თაობასაც გადავცე და ჩემი წვლილი შევიტანო უნივერსიტეტისა და ქართული მეცნიერების განვითარებაში“, – ამბობს გვანცა ტალახაძე.

# ელენე გიორგაძე: „პალაცკის უნივერსიტეტი, თეორიასთან ერთად, ორიენტირებული იყო პრაქტიკულ სწავლებაზე“

ენო ხაუალია

ოსუს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი ელენე გიორგაძე, გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, ჩეხეთის პალაცკის უნივერსიტეტში სწავლობდა. თუ რა გამოცდილება შესძინა საზღვარგარეთ ერთი სემესტრით სწავლამ, ელენე გვიყვება: „ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შემოძლია ვთქვა, რომ ჩეხეთში გატარებული დრო ყველაზე ტკბილად მახსენდება. ამ პერიოდს ჩემი ზღაპრის ფერად ფურცლად აღვიქვამ. ვფიქრობ – სწორ დროს სწორ ადგილას აღმოვჩნდი. საზღვარგარეთ ცხოვრება და სწავლა, განსაკუთრებით პატარა ასაკში, საფუძვლიანად გზრდის და გაყალიბებს. ამ დროს იაზრებ, რომ თუ საკუთარი თავი გყავს, ყოველთვის ყველაფერს შეძლებ. რაც უნდა იდეალურად გრძნობდე თავს, სახლიდან ასე შორს ყოფნა მარტივი არ არის. სწორედ ეს სირთულეები, რასაც სახლიდან შორს მყოფი აწყდები,

გზრდის და გასწავლის უამრავ გაკვეთილს. გაცვლითი სემესტრის განმავლობაში ჩემს „ახალ ვერსიას“ გავეცანი, რომელიც ვერც კი წარმომედგინა, თუ არსებობდა, რადგან ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ დამოუკიდებლად ამდენ რამეს შევძლებდი. ახალმა მეგობრებმა, რომლებიც ჩემს მეორე ოჯახად გადაიქცნენ და ახალმა კულტურამ უდიდესად დადებითი კვალი დატოვა ჩემზე. უაღრესად მაღლიერი ვარ, რომ ეს შესაძლებლობა მომეცა. ყოველთვის დიდი სითბოთი მოვიგონებ ჩემს ჩეხურ თავგადასავალს და ჩემი ცხოვრების ეს ეტაპი ყოველთვის იქნება ჩემი პიროვნების ფორმირების ერთ-ერთი მთავარი ნაწილი“, – ამბობს ელენე.

ელენე გიორგაძე თსუს მეტად ემადლიერება და ამაყობს, რომ უაღრესად განათლებული და კვალიფიციური ლექტორების სტუდენტის სტატუსი აქვს. „ჩემს ლექტორებთან ურთიერთობა, მათი დაუღალავი შრომა უდიდესი მოტივაციაა ჩემთვის, რომ კარიერულ მწვერვალს მივალწიო. მინდა განსაკუთრებულად მოვიხსენიო **სოფიო დოლიძე**,



ლექტორი, რომელმაც პირველი კურსიდან, ფაქტობრივად, გამომზარდა. მისი ყოველი ლექცია თუ სემინარი უდიდესი ინსპირაცია იყო ჩემთვის, რომ საკუთარი თავის უკეთესი ვერსია შემექმნა. ასევე უნდა მოვიხსენიო **თამარ გველე-სიანი**, რომლის წყალობითაც შევიტყვე ჩეხეთის გაცვლით პროგრამაზე. რომ არა ის, შესაძლებელია, ვერც მესარგებ-

ლა ამ შანსით. ასევე გამოვიყოფ **თამარ მანაგაძეს**, რომლის ენერჯია, ძალისხმევა და მოტივაცია ავტომატურად ყველა სტუდენტზე ვრცელდება. კიდევ უამრავი პროფესიონალია, რომელთა მაღლიერიც ვარ“, – აღნიშნავს ელენე. მისი თქმით, თსუ-ში იგი საფუძვლიან თეორიულ განათლებას იღებს, თუმცა ხშირად სტუდენტებს არ აქვთ ამ ცოდნის გამოყენების სათანადო უნარი პრაქტიკული გამოცდილების ნაკლებობის გამო. სწორედ ამ პრობლემას უკავშირდება ელენეს სურვილები: „პალაცკის უნივერსიტეტი, თეორიასთან ერთად, ორიენტირებული იყო პრაქტიკულ სწავლებაზე, რაც გამოიხატებოდა ჯგუფური თერაპიების ჩატარებით, სხვადასხვა მოდელების განსახიერებით და ა.შ. ვფიქრობ, თსუ-ში კარგი იქნება გვექონდეს საგნები, რომლებიც ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების მეტ შესაძლებლობას მოგვცემს, რათა მომავალ საქმიანობაში უფრო კომპეტენტურები, თავდაჯერებულები ვიყოთ და ეფექტიანად გამოვიყენოთ უნივერსიტეტში მიღებული განათლება“.

# ქართველ მეცნიერ-კარტოგრაფთა კიდევ ერთი საერთაშორისო აღიარება

ენო ხაუალია

18-20 სექტემბერს ხორვატიის ქალაქ ზადარში, ზადარის უნივერსიტეტის ბაზაზე, ჩატარდა რიგით 21-ე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კარტოგრაფია და გეოინფორმაცია“. კონფერენცია გაიმართა საერთაშორისო კარტოგრაფიული ასოციაციის (ICA) ეგიდით. კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ: ზადარის უნივერსიტეტი და ხორვატიის კარტოგრაფიული საზოგადოება. კონფერენციის საერთაშორისო საორგანიზაციო კომიტეტს ხელმძღვანელობდა საერთაშორისო კარტოგრაფიული ასოციაციის პრეზიდენტი, პროფესორი გეორგ გარტნერი (ავსტრია), ხოლო ადგილობრივი საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე გახლდათ ზაგრების უნივერსიტეტის პროფესორი, ხორვატიის კარტოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტი მილენკო ლაპენი. აღნიშნული კონფერენციის მუშაობაში, ოფიციალური მიწვევის საფუძველზე, მონაწილეობდა ქართველ მეცნიერ-კარტოგრაფთა 12 წევრიანი ჯგუფი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან აღნიშნული საერთაშორისო ფორუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, საქართველოს კარტოგრაფთა ასოციაციის პრეზიდენტი **თენგიზ გორდეზიანი** (ჯგუფის ხელმძღვანელი), ასოცირებული პროფესორი **რობერტ მაღლაკელიძე**, დოქტორანტი: **გოჩა გუძუაძე**, **გიორგი მაღლაკელიძე** და **საბა მოდებაძე**, მაგისტრანტი – **გიორგი აბრამიშვილი**. სხვა ორგანიზაციებიდან ქართული დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ: პროფესორი **ზურაბ ლაოშვილი** (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი), ასოცირებული პროფესორი **სოფიო გორგიჯანიძე** (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი), გეოგრაფიის დოქტორი **თედო გორგოძე** (საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კარტოგრაფია-გეოდეზიის დეპარტამენტი), ასოცირებული პროფესორი **რევაზ თოლორაძე** (სოხუმის სახელმწიფო უნივერსი-



**საერთაშორისო კარტოგრაფიული ასოციაციის პრეზიდენტისგან, გეორგ გარტნერისაგან მივიღეთ დასტური, რათა მომავალ 2026 წელს საქართველოში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საერთაშორისო კარტოგრაფიული ასოციაციის ეგიდით ჩატარდეს სამეცნიერო კონფერენცია**

ტეტი), **თონა თიგიშვილი** (საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო), გეოგრაფიის მაგისტრი **ნიკოლოზ კაპანაძე** (საპროექტო კომპანია „ნუევა“). „ქართული დელეგაცია კონფერენციაზე ყველაზე დიდი დელეგაციით იყო წარმოდგენილი, შესაბამისად, ყველაზე მეტი იყო მათ მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო პრეზენტაციები (10 მოხსენება), რამაც საერთაშორისო მეცნიერთა წრის დიდი მონონება დაიმსახურა. ქართველ მეცნიერთა მოხსენებები შეეხებოდა კარტოგრაფიული მეცნიერების ისეთ თემატურ მიმართულებებს, როგორებიცაა: ლანდშაფტური კარტოგრაფია, ისტორიული კარტოგრაფია, ატლასური კარტოგრაფია, სამხედრო კარტოგრაფია, გეოდინამიური პროცესების კარტოგრაფირება, კარტოგრაფიული მონიტორინგი, სასკოლო კარტოგრაფია. კონფერენციის მსვლელობისას გაფორმდა მემორანდუმი სამეცნიერო ურთიერთთანამშრომლობის



შესახებ საქართველოს კარტოგრაფთა ასოციაციისა და ხორვატიის კარტოგრაფიულ საზოგადოებას შორის. დამყარდა კავშირები სარედაქციო-საგამომცემლო საქმიანობის მიმართულებით, რომელიც მნიშვნელოვნად წაადგებათ, პირველ რიგში, ჩვენს დოქტორანტებს მაღალრეიტინგულ პერიოდულ გამოცემებში სტატიების გამოქვეყნების მიმართულებით. უცხოელმა მეცნიერებმა ასევე გამოთქვეს სურვილი ქართულ სამეცნიერო-გეოგრაფიულ და კარტოგრაფიულ პერიოდულ გამოცემებში სტატიების გამოქვეყნების თაობაზე. ვესაუბრეთ ზადარის უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ იოზეფ ფერიჩიჩს (იგი პროფესორ არის გეოგრაფი) თბილისის და ზადარის უნივერსიტეტებს შორის ურთიერთთანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით, რაზედაც ხორვატიული მხარე სიამოვნებით დათანხმდა. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა მსოფლიოს 11 ქვეყნის (ხორვატია, საქართველო, სლოვაკეთი, იტალია, საბერძნეთი, ავსტრია, რუმინეთი, უნგრეთი, სლოვენია, ინდონეზია, ირანი) მეცნიერები. ყველა მონაწილესთან დამყარდა საქმიანი კავშირები კარტოგრაფიული განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით“, – აღნიშნა ჩვენთან საუბარში ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტის ასოცირებულმა პროფესორმა, საქართველოს კარტოგრაფთა ასოციაციის პრეზიდენტმა თენგიზ გორდეზიანმა. საქართველოს კარტოგრაფთა ასოციაციის პრეზიდენტმა თენგიზ გორდეზიანმა და ხორვატიის კარტოგრა-



ფიული საზოგადოების პრეზიდენტმა მილენკო ლაპენმა ხელი მოაწერეს მემორანდუმს ურთიერთთანამშრომლობის შესახებ. კონფერენციის მესამე დღეს მონაწილეთათვის მოენყო ქსკურსია ვრანას ულამაზესი ტბის შემოგარენში, რომელიც ადრიატიკის ზღვის სანაპირო ზოლში მდებარეობს. კონფერენციის ორგანიზატორებმა, ზუნებრივ ღირსშესანიშნაობებთან ერთად, სტუმრებს გააცნეს ადგილობრივი „ვიჩინის“ დამზადების ტექნოლოგიური პროცესები, რომელიც, გარკვეულწილად, ჰგავს რაჭული ლორის დამზადების პროცესს. კონფერენციის მონაწილეებმა მონახულეს მელორეობის ფერმაც, რომელიც ამ დელიკატესის ძირითადი ნედლეულის ბაზას წარმოადგენს. ქსკურსიის მარშრუტზე ქართული დელეგაციის წევრმა თედო გორგოძემ მონაწილეთათვის შეასრულა რამდენიმე მუსიკალური ნომერი, რამაც კონფერენციის მონაწილეთა ჯგუფი აღფრთოვანებაში მოიყვანა. „კონფერენციის მსვლელობისას დაისახა რიგი მომავალი შეხვედრები და ღონისძიებები. საერთაშორისო კარტოგრაფიული ასოციაციის პრეზიდენტისგან, გეორგ გარტნერისაგან მივიღეთ დასტური, რათა მომავალ 2026 წელს საქართველოში, საერთაშორისო კარტოგრაფიული ასოციაციის ეგიდით, ჩატარდეს სამეცნიერო კონფერენცია, რომლის ორგანიზატორები იქნებიან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველოს კარტოგრაფთა ასოციაცია“, – ამბობს თენგიზ გორდეზიანი.



# მარიამ ჩალაძე: „საფრანგეთში სწავლების სტილი საკმაოდ განსხვავებულია“

ენო ჯაფარიძე

მარიამ ჩალაძე, რომელიც თსუ-ს ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) მესამე კურსელია, გაზაფხულის სემესტრი საფრანგეთში, კლერმონ ოვერნის უნივერსიტეტში გაატარა. თუ რა გამოცდილება შესძინა საზღვარგარეთ ერთი სემესტრით სწავლამ, ამის თაობაზე მარიამი გვიყვება: „ამ პერიოდის განმავლობაში უდიდესი გამოცდილება მივიღე, როგორც აკადემიური, ისე ცხოვრებისეული თვალსაზრისით. რა თქმა უნდა, ბევრი ვისწავლე საფრანგეთის შესახებ და, როგორც ეკონომიკის სტუდენტი, უკეთ გავერკვიე ევროკავშირში მიმდინარე პროცესებში, თუმცა, ამას გარდა, უპირველეს ყოვლისა, „ერასმუსმა“ ცხოვრება მასწავლა. პირველად მომიწია მართო ცხოვრება და ყოველი პატარა დეტალის თავად განსაზღვრა. ვფიქრობ, ამან საკუთარი თავის რწმენაც შემმატა და უამრავი საჭირო უნარიც გამომიჩუქავა. საფრანგეთი ეთნიკურად ძალიან მდიდარი ქვეყანაა, ამიტომ ურთიერთობა მიწვედა მსოფლიოს ყველა კონტინენტის წარმომადგენელთან. ამ ურთიერთობებმა ბევრი მასწავლა, თვალსაწიერი უფრო გამიფართოვა და მომცა საშუალება, რომ ჩემი კულტურა უცხოელებისთვის გამე-

ზიარებინა და ასევე მათიც გამეცნო“, – ამბობს მარიამი.

როდესაც უნივერსიტეტში აბარებდა, საკმაოდ რთული არჩევანის წინაშე აღმოჩნდა. საბოლოოდ მარიამმა თსუ აირჩია და ამ გადაწყვეტილებით დღეს ძალიან კმაყოფილია: „საუკეთესო ლექტორებით ვარ გარემოცული, რომელთაც უყვართ თავიანთი საქმე და სიამოვნებით გასწავლიან. ამასთანავე, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს გარემოცვასაც – როგორი კურსელები დაგვხვდებიან. ამ მხრივაც ძალიან კმაყოფილი ვარ: სწავლის გარდა ბევრი ჩვენგანია ჩართული დამატებით საერთაშორისო თუ ადგილობრივ ახალგაზრდულ პროექტებსა და ორგანიზაციებში. როდესაც ასეთ გარემოში ხვდები, შენც გიძლიერდება იმის სურვილი, რომ უფრო მეტი და მეტი აკეთო“.

რით განსხვავდება სწავლების მეთოდები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისგან იმ უნივერსიტეტში, სადაც გაცვლითი პროგრამით ისწავლა? – ამ კითხვაზე მარიამ ჩალაძე გვპასუხობს, რომ სწავლების სტილი საკმაოდ განსხვავებულია. „ISET-ში ყველა საგანი 5-კრედიტულია და მთელი სემესტრი გრძელდება. საფრანგეთში ასე არ არის, ამიტომაც მეტი საგნის გავლა დამჭირდა. ასევე, კლერმონში ლექტორებს



ბევრად მეტი თავისუფლება აქვთ და სურვილისამებრ შეუძლიათ ლექციების გადანიღება. მაგალითად, მქონდა ისეთი საგნები, რომელთა სწავლების პროცესიც მხოლოდ 2-3 კვირა გრძელდებოდა. აღვნიშნავ იმასაც, რომ წერიითი გამოცდები თითქმის არ მქონია: ჯგუფური ნაშრომების დაწერასა და შემდეგ მათ პრეზენტაციას გვთხოვდნენ, რაც ჩემთვის აქამდე არასდროს

დაუვალეა. ქულების სისტემაც განსხვავებულია: ფრანგული სისტემა 20-ქულიანია და GPA-ც განსხვავებულად გამოითვლება, პირდაპირ არ სკალირდება ქართულ სისტემაში. სწავლა ადრე იწყება – იანვარში – და ადრეც მთავრდება – მაგისტრატურა ივნისში, ხოლო ბაკალავრიატი აპრილში. მე ორივე საფეხურის საგნებს გავდიოდი, თუმცა აპრილის მერე დრო საკმაოდ გამომიტავისუფლდა, თან არდადეგებიც ხშირად გვქონდა ხოლმე, ამიტომაც მოგზაურობას და სხვა ქვეყნების გაცნობასაც თავისუფლად ვახერხებდი. საბოლოო ჯამში, 4 ქვეყანას ვესტუმრე“, – ამბობს მარიამი, რომელსაც უცხო ქვეყანაში სწავლამ საშუალება მისცა – აქაურიც დაეფასებინა. მარიამი მხოლოდ ერთ პრობლემას გამოყოფს, რასაც საუნივერსიტეტო სივრცეში გამოასწორებდა: „ვფიქრობ, რომ ძალიან დიდ თეორიულ მასალას გავდივართ, თუმცა პრაქტიკულად მას დიდად არ ვიყენებთ, რაც იმას იწვევს, რომ როდესაც მოვუბრუნებ ადამიანს, უჭირს ხოლმე ახალ გარემოსთან შეგუება. ამ საკითხის გამოსწორება სტუდენტებს პირდაპირ დაეხმარება – უკეთ მოემზადონ სამომავლო კარიერისთვის და წარმატებასაც უფრო მარტივად მიაღწიონ“.

## თქვენი ხმა კრიზისში: ჰუმანიტარული კომუნიკაციის გაძლიერება საქართველოში

ტრენინგი

შარტხია ბაროშვილი

თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტთა ერთი ნაწილი 25-29 სექტემბერს საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში იღებდა მონაწილეობას.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებამ მიმდინარე წელს დაიწყო ახალი პროექტი „თქვენი ხმა კრიზისში: ჰუმანიტარული კომუნიკაციის გაძლიერება საქართველოში“. პროექტი მიზნად ისახავს აკადემიურ წრეებთან მჭიდრო თანამშრომლობით მედიისა და კომუნიკაციების დამწყები სპეციალისტების დაინტერესებას, მომზადებასა და ჩართვას კრიზისული კომუნიკაციის მართვის პროცესებში. პროექტის საპილოტე ფაზა მოიცავს პარტნიორ უნივერსიტეტებთან შეხვედრებს, სტუდენტებისთვის სპეციალიზებულ ტრენინგებსა და შემდგომ საინფორმაციო სესიებს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ამ პროექტში ერთ-ერთ მთავარ პარტნიორად განიხილება.

ტრენინგებზე, რომელიც დაბა ჩაქვში გაიმართა, საუბარი იყო ჰუმანიტარული კომუნიკაციის, კრიზისულ სიტუაციებში დროული მოქმედებების, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო სტანდარტების, ჰუმანიტარული კრიზისის დროს მედიის ჩართულობის შესახებ. გაიმართა დისკუსიები ჰუმანიტარულ ორგანიზაციებსა და აკადემიურ წრეებს შორის თანამშრომლობის პერსპექტივების თაობაზე.

ტრენინგის მონაწილეებმა ისწავლეს ჰუმანიტარული კრიზისის დროს ეფექტიანი სტრატეგიის ელემენტების მუშაობის პრინციპები, საფრთხეების გან-



საზღვრა, საპასუხო ინსტრუმენტების შერჩევა, მესიჯბოქსის შემუშავება და გამოყენება; ჩაერთვნენ საქმიან თამაშში, რომელიც მოიცავდა კონკრეტულ კრიზისულ სიტუაციაში 4 მდგომარეობის ჩამოყალიბებას, კრიზისის შიდა და გარე კომუნიკაციის წარმართვას, სამუშაო ჯგუფების შექმნას, სამუშაო ჯგუფის ფუნქციების განსაზღვრასა და განაწილებას, კონკრეტული სამიზნე ჯგუფის იდენტიფიცირებას, საკომუნიკაციო ტექნიკების გამოყენებას და სხვ.

ტრენინგებს უძღვებოდნენ კომუნიკაციის ექსპერტები წითელი ჯვრის და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო ფედერაციისა და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებიდან: პავლინა რაიტიცკაია, სოფიო ხუციშვილი, თამარ კამკამიძე, მაია ქარადავა, კახა მამულაძე, ელენე რეხვიაშვილი, ანა ლომთათიძე.

აკადემიური წრეების წარმომადგენლებმა შემაჯამებელ სხდომაზე წარადგინეს წითელ ჯვართან თანამშრომლო-

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ამ პროექტში ერთ-ერთ მთავარ პარტნიორად განიხილება



ბის შემდგომი პერსპექტივების საკუთარი ხედვა. როგორც თსუ-ს ასოცირებულმა პროფესორმა მაია ტორაძემ აღნიშნა, სოციალური მეცნიერებებისა და, მათ შორის, ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტთა ცნობიერების ამაღლებისა და კრიზისული სიტუაციების სწორად გაშუქების მიზნით მომავალში ლექციების, ტრენინგების, ერთობლივი კვლევების და ვებზე სიმულაციური სამუშაოების ჩატარებაა შესაძლებელი, რაც უნივერსიტეტის სტუდენტებს პრაქტიკულ უნარებს და ცოდნას, წითელ ჯვარს – მეცნიერულად დასაბუთებულ რეკომენდაციებსა

და ახალგაზრდობის ჩართულობას, ხოლო საზოგადოებას – ეფექტურ ჰუმანიტარულ კომუნიკაციას შემატებს.

აღნიშნული პროექტის გასაცნობად და მომავალი თანამშრომლობის დეტალების განსახილველად საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება, ოქტომბერში, თბილისში გეგმავს ერთობლივ შეხვედრას, რომელზეც, სხვა პარტნიორებთან ერთად, თსუ-ს ჟურნალისტიკის მიმართულება იქნება მინვეული.

# საუკუნე გზად – თსუ საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება 100 წლისაა!



მაია ბორაძე

2 ოქტომბერს თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულებამ 100 წლის იუბილე იხიმა.

ლონისძიებამ, რომელიც თაობათა შორის შეხვედრად და მოგონებების საღამოდ გადაიქცა, გახსნა მიმართულების ხელმძღვანელმა, პროფესორმა თამარ დოლბაიამ, რომელმაც მოკლედ მიმოიხილა საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების საუკუნოვანი ისტორია და აღნიშნა, რომ ამ დარგის პროფესურა და სტუდენტობა მუდამ უწყობდა ფეხს თანადროულ მოთხოვნებს, იზიარებდა საკაცობრიო იდეალებს, ქმნიდა, ვითარდებოდა და მდიდრდებოდა ახალი ცოდნით. თამარ დოლბაიამ მადლობა გადაუხადა მათ, ვინც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გეოგრაფიული მეცნიერების განვითარებისა და თაობების აღზრდის საქმეს ემსახურა.

თსუ-ს რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ მისასალმებელ სიტყვაში საზოგადოებრივი გეოგრაფიის, როგორც დისციპლინის, მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ ის, რაც ამ საუნივერსიტეტო სკოლამ შექმნა, უნიკალურია: „ამ მიმართულებამ აღზარდა მსოფლიო დონის მეცნიერები და მკვლევრები. ის დღესაც არის ჩვენი უნივერსიტეტის ერთ-ერთი მთავარი საყრდენი, რომელიც კვლავაც აგრძელებს ტრადიციას და აყალიბებს პროფესიონალებს“, – განაცხადა მან.

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულებას საუკუნოვანი იუბილე მიულოცეს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა სალომე დუნდუამ, თსუს პროფესორებმა რევაზ გაჩეჩილაძემ, ვაჟა ლორთქიფანიძემ, ზურაბ დავითაშვილმა, სოსო სალუქვაძემ, თენგიზ გორდეზიანმა, გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ ელენე სალუქვაძემ, კურსდამთავრებულმა თამარ ბაგრატიამ და სხვებმა. ყველა გამომსვლელი აღნიშნავდა, რომ საკუთარი ბიოგრაფიის ერთ მნიშვნელოვან ეტაპს სწორედ საზოგადოებრივი გეოგრაფიის კათედრასთან აკავშირებს.

საიუბილეო საღამოზე საზოგადოებას საშუალება ჰქონდა გაცნობოდა მიმართულების ასი წლისთავისადმი მიძღვნილ ბროშურას (შემდგენელი მაია ტორაძე) და ეხილა ფილმი, რომელიც ამ თარიღს მიეძღვნა (რეჟისორი ეკა ტალახაძე).

## ეკონომიკური გეოგრაფიიდან საზოგადოებრივ გეოგრაფიამდე

საზოგადოებრივი გეოგრაფიის ისტორია იწყება 1922 წელს, როცა პროფესორ გიორგი გეხტმანის ხელმძღვანელობით თსუ-ში ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრა შეიქმნა. ეს იყო პირველი ასეთი კათედრა მთელ საბჭოთა სივრცეში. მაშინ ეკონომიკური გეოგრაფია სასარგებლო დისციპლინად ითვლებოდა – იგი სწავლობდა მეურნეობის განლაგებასა და ეკონომიკის განვითარებას.



გეხტმანის შემდეგ კათედრას ხელმძღვანელობდნენ ჯერ პროფესორი ლუარსაბ კარბელაშვილი, მოგვიანებით კი პროფესორი გრიგოლ ზარდალიძე. 1963 წლიდან მას სათავეში ჩაუდგა პროფესორი ნოდარ ნაჭყებია, რომელმაც დარგს ახალი ენერჯია შესძინა. დარგის პრესტიჟის ასამაღლებლად მან გამოიყენა თავისი ძირითადი სპეციალობა – აღმოსავლეთმცოდნეობა და 1965 წლის მისაღებ გამოცდებზე პირველად გამოცხადდა მიღება „საზღვარგარეთის ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფიის“ სპეციალობით. მომავალ აბიტურიენტებს შორის მალევე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ამ სპეციალობაზე აუცილებელი გახდებოდა ერთი ევროპული და ერთი აღმოსავლური ენის შესწავლა. ამან კარგი მომზადების მქონე ბევრ აბიტურიენტს აარჩევინა ეს სპეციალობა, მისაღებ გამოცდებზე კონკურსი მკვეთრად გაიზარდა და გეოგრაფიის მიმართულებაზე ჩარიცხულთა შორის უმაღლესი შეფასების მქონენი სწორედ ზემოაღნიშნულ სპეციალობაზე ირიცხებოდნენ.

ნოდარ ნაჭყებია 1963-1974 წლებში ხელმძღვანელობდა გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრას, 1965-1977 წლებში კი ის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის დეკანი იყო. მისი ენერგიული საქმიანობის შედეგად ფაკულტეტი უნივერსიტეტში ერთ-ერთ საუკეთესო, პრესტიჟულ ერთეულად ჩამოყალიბდა. ნოდარ ნაჭყებიას შემდეგ კათედრას სათავეში ჩაუდგა გამორჩეული მეცნიერი, დოცენტი ვაჟა გუჯაბიძე (1938-

2008), რომლის თაოსნობითაც გაძლიერდა ურთიერთობები საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან. 1988-1992 წლებში კათედრას სათავეში ედგა დოცენტი გიორგი ცაგარელი, რომლის ხელმძღვანელობითაც ქვეყნისთვის არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა.

2005-2022 წლებში საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულებას მონაცვლეობით ხელმძღვანელობდნენ პროფესორები იოსებ სალუქვაძე და გიორგი გოგსაძე.

1990-იან წლებში კათედრის დოცენტის, ალექსანდრე რონდელის ინიციატივითა და უშუალო ძალისხმევით, საქართველოში პირველად, თსუ-ში შეიქმნა „საერთაშორისო ურთიერთობების“ სპეციალობა, რომელიც დამოუკიდებელ სპეციალობად ჩამოყალიბდა 2005 წლიდან. ამ სპეციალობის განვითარებაში ასევე დიდი როლი შეასრულა საზოგადოებრივი გეოგრაფიის კათედრის კიდევ ერთმა თანამშრომელმა, ზურაბ დავითაშვილმა.

საზოგადოებრივი გეოგრაფიის კურსდამთავრებულებმა დამოუკიდებელი საქართველოს განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მათი წარმატებები ქართულ დიპლომატიურ სამსახურებში.

ამ კათედრის აღზრდილები არიან საქართველოს უახლეს ისტორიაში კარგად ცნობილი პოლიტიკოსები, დიპლომატები და მეცნიერები: რევაზ გაჩეჩილაძე, დავით რონდელი, ლევან ასათიანი, არჩილ გეგეშიძე, დავით დონდუა, მალხაზ კაკაბაძე, დავით კერესელიძე, ტარიელ ლებანიძე, ლევან მიქელაძე, ალექსი პეტრიაშვილი, ნიკოლოზ რთველიაშვილი, იოსებ ჩახვაშვილი, გიორგი ჯანჯღავა, ვახტანგ ჯაოშვილი, ლადო გურგენიძე, ვაჟა ლორთქიფანიძე, ბესარიონ გუგუშვილი, თამაზ გუგუშვილი, კახა საკანდელიძე, დავით ონოფრიშვილი, ირაკლი მანაგაძე, ანა ახალკაცი,

ეკა ვაშაყმაძე, ზურაბ დავითაშვილი და სხვები.

## დღევანდელი

დღეისათვის საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტთანაა გაერთიანებული და მას ხელმძღვანელობს პროფესორი თამარ დოლბაია, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა საერთაშორისო სტრანსპორტო დერეფნებისა და საქართველოსა და შავი ზღვის აუზის საპორტო სისტემების შესწავლას. მისი თაოსნობით დამყარდა სამეცნიერო კავშირები ჩინეთის სოციალურ მეცნიერებათა ინსტიტუტთან (პეკინი) და მიმდინარეობს ერთობლივი მუშაობა საქართველოში გამავალი სტრანსპორტო დერეფნის, როგორც ახლა უწოდებენ – „შუა დერეფნის“ – მნიშვნელობასა და პერსპექტივებზე (პროექტის – „ჩინური ინიციატივა: ერთი სარტყელი – ერთი გზის“ – ფარგლებში).

ამჟამად საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულებაზე მოღვაწეობს 5 პროფესორი (მათ შორის, ორი აკადემიკოსი – რევაზ გაჩეჩილაძე და ვაჟა ლორთქიფანიძე; პროფესორები იოსებ სალუქვაძე, გიორგი გოგსაძე და თამარ დოლბაია), 5 ასოცირებული პროფესორი (ვალერიან მელიქიძე, ნინო პავლიაშვილი, ია იაშვილი, გიორგი კვინიკაძე, ანზორ სახვაძე) და 1 ასისტენტ-პროფესორი (ელადიმერ ჩხაიძე). მიმართულების მეცნიერ-პედაგოგები აქტიურად არიან ჩართული საერთაშორისო სამეცნიერო ურთიერთობებში, პროფესორები და სტუდენტები ყოველწლიურად მონაწილეობენ პრესტიჟულ სამეცნიერო კონფერენციებში, სტაჟირებას გადიან ამერიკისა და ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში.

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულებას გააჩნია საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები. ყოველწლიურად სპეციალობას ამთავრებს დაახლოებით 50 ბაკალავრი და 15-მდე მაგისტრი. ბოლო წლებში სადოქტორო პროგრამა წარმატებით დაასრულა და საზოგადოებრივი გეოგრაფიის დოქტორის აკადემიური ხარისხი მიენიჭა ათზე მეტ დოქტორანტს: ნათია გავარდაშვილს, დავით მაისურაძეს, დავით სიჭინავას, თამარ დოლბაიას, მედეა ბადაშვილს, გიორგი ლეკვეიშვილს, გვანცა სალუქვაძეს, ლევან ალფაიძეს, ტატიანა სიჭინავას და სხვებს. მიმართულების სადოქტორო პროგრამას 2016 წლიდან ხელმძღვანელობს გეოგრაფიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი ნინო პავლიაშვილი.

დღეს, როცა თსუ-ს საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება მეორე საუკუნის ზღურბლზე დგას, მისი ისტორია მხოლოდ წარსული არ არის – ესაა ცოდნის, პასუხისმგებლობისა და თავისუფალი აზრის ტრადიცია.



რევაზ გაჩეჩილაძე

დღეისათვის საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტთანაა გაერთიანებული და მას ხელმძღვანელობს პროფესორი თამარ დოლბაია, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა საერთაშორისო სტრანსპორტო დერეფნებისა და საქართველოსა და შავი ზღვის აუზის საპორტო სისტემების შესწავლას



თამარ დოლბაია



# „სამი ზღვის ინიციატივა“ და პოლონეთის როლი – ვახტანგ მაისაიას მოხსენება

ენიკო ჩარაქვიანი

„სამი ზღვის“ კონცეფცია და პოლონეთის ახალი გეოპოლიტიკური სტრატეგიის გეოსტრატეგიული აქცენტები – ასეთია იმ მოხსენების სახელწოდება, რომელიც თსუ-ში გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე წარადგინა პოლიტიკისა და სამხედრო მეცნიერებების დოქტორმა, პროფესორმა ვახტანგ მაისაიამ. მოხსენება დაფუძნებულია ავტორისავე ნაშრომზე, რომელიც 2019 წელს ერთ-ერთ პრესტიჟულ პოლონურ ჟურნალში გამოქვეყნდა.

პროფესორის თქმით, ბალტიის, შავი და ადრიატიკის ზღვების გარშემო არსებული სივრცე, რომელსაც ხშირად „სამი ზღვის რეგიონს“ უწოდებენ, უკვე იქცა საერთაშორისო პოლიტიკის ერთ-ერთ ყველაზე დაძაბულ არეალად. ეს ტერიტორია გლობალური და რეგიონული ჰეგემონების ინტერესების გადაკვეთის ადგილია – იკვეთება ევროკავშირის, ნატოს, რუსეთისა და სხვა რეგიონული მოთამაშეების ინტერესები.

„სამი ზღვის ინიციატივა“ პოლონეთის პრეზიდენტმა ანჟეი დუდამ და ხორვატიის პრეზიდენტმა კოლინდა გრაბარ-კიტაროვიჩმა დააარსეს 2015



წელს. მისი წევრია 12 ქვეყანა: პოლონეთი, ავსტრია, ბულგარეთი, ხორვატია, ჩეხეთი, ესტონეთი, უნგრეთი, ლატვია, ლიეტუვა, რუმინეთი, სლოვაკეთი და სლოვენია. გაერთიანება მიზნად ისახავს რეგიონში ეკონომიკური, ენერგეტიკული და ინფრასტრუქტურული თანამშრომლობის ხელშეწყობას, ასევე რეგიონული უსაფრთხოების გაძლიერებას. პროფესორმა ვახტანგ მაისაიამ მოხსენების წარდგენისას აღნიშნა, რომ ინიციატივის შედეგად ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ისეთი ეკონომიკური სივრცე ჩნდება, რომელიც უფრო ნაკლებად იქნება დამოკიდებული რუ-

სეთზე და უფრო მეტად ხელს შეუწყობს ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის ვაჭრობას. ხაზგასასმელია ასევე, რომ ინიციატივას სრულად უჭერს მხარს აშშ, რაც გამოიხატება დიდ ფინანსურ დახმარებასა და ტრანსატლანტიკური ურთიერთობების გაღრმავებაში.

პროფესორის აზრით, რუსეთის გავლენის მთავარი ბერკეტი ენერგეტიკაა. სწორედ ამიტომ „სამი ზღვის ინიციატივის“ ერთ-ერთი მთავარი მიზანი ენერგორესურსების დივერსიფიკაციაა, რათა შემცირდეს დამოკიდებულება რუსულ გაზზე. ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ამერიკულ ინვესტიციებსა და თხევადი ბუნებრივი გაზის (LNG) მიწოდების ზრდას, რაც არა მხოლოდ ეკონომიკურ ნაბიჯად ითვლება, არამედ უსაფრთხოების პოლიტიკის ნაწილიცაა.

პროფესორი ვახტანგ მაისაია თავის ნაშრომში განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს თანამედროვე უსაფრთხოების გამოწვევებზე, მათ შორის, ე.წ. ჰიბრიდულ ომებზე, რომლებიც კლასიკური სამხედრო დაპირისპირების ფარგლებს სცდება. ავტორი ეყრდნობა „მეოთხე თაობის ომის თეორიას“, რომლის მიხედვითაც თანამედროვე კონფლიქტები არა მარტო სამხედრო,

არამედ ეკონომიკური, საინფორმაციო და ფსიქოლოგიური მეთოდებითაც მიმდინარეობს. ამ კონტექსტში ავტორი იხსენებს რუსეთის საგარეო სტრატეგიას, რომელიც მოიცავს ე.წ. გერასიმოვის დოქტრინას: „მანამდე, სანამ ღია სამხედრო ქმედება დაიწყება, მიზნები უნდა შესრულდეს პოლიტიკური და საინფორმაციო ზენოლით“... ამ მიდგომის მკაფიო მაგალითებად პროფესორს საქართველოში 2008 წლის ომი და 2014 წლის უკრაინის ოკუპაცია მოჰყავს.

რაც შეეხება მოხსენების საბოლოო დასკვნას, პროფესორი ვახტანგ მაისაია მიიჩნევს, რომ ჰიბრიდული გამოწვევები დღემდე ერთ-ერთ მთავარ საფრთხედ რჩება შავი ზღვის რეგიონში და ამ საფრთხეების წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლა მხოლოდ ერთობლივი სტრატეგიითა და თანამშრომლობით – ნატოსა და ევროკავშირის ჩართულობით – შეიძლება მოხერხდეს. მიუხედავად იმისა, რომ „სამი ზღვის ინიციატივა“, ძირითადად, ეკონომიკურ პროექტად მოიაზრება, პროფესორის შეფასებით, წარმატებით განვითარების შემთხვევაში შესაძლოა ის აღმოსავლეთ ევროპისთვის ძლიერ უსაფრთხოების ბერკეტად გადაიქცეს.

# კვლევის – „ირლანდიური ლიტერატურის თარგმნა და კვლევა საქართველოში“ – შედეგები ესპანეთში გამართულ კონფერენციაზე წარადგინეს

შარტხია ბაროშვილი

სექტემბრის ბოლოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველ მკვლევართა ჯგუფი, დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის ს/ს ინსტიტუტის ხელმძღვანელის, პროფესორ მანანა გელაშვილის ხელმძღვანელობით, ესპანეთში, ქალაქ ბარსელონაში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე თავიანთი კვლევის შუალედური შედეგებით წარადგინა. „ირლანდიური ლიტერატურის თარგმნა და კვლევა საქართველოში“, – ამ სახელწოდებით ჩატარებული ფუნდამენტური კვლევის შედეგები ქართველმა მეცნიერებმა დამსწრე საზოგადოებას გააცნეს.

მანანა გელაშვილის თქმით, საქართველოში ირლანდიური ლიტერატურის თარგმნას დიდი ხნის ისტორია აქვს და პირველი თარგმანები ილია ჭავჭავაძისა და ნიკო ნიკოლაძის სახელს უკავშირდება. „საფრანგეთსა და შვეიცარიაში განათლებამღებული ნიკო ნიკოლაძე კარგად აცნობიერებდა, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ისეთი პერიოდული გამოცემის არსებობა, რომელიც ეროვნულ სულს გამოაცოცხლებდა, მით უფრო ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორც საქართველო, რომელიც რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ეროვნული თვითმყოფადობის დაკარგვის საფრთხის წინაშე იდგა. უცხოელი მწერლების საუკეთესო ნაშუქვრების თარგმნა კი ერთ-ერთ საუკეთესო გზას წარმოადგენდა. ნიკო ნიკოლაძემ ჯონათან სვიფტის „გულივერის მოგზაურობა“ თარგმნა, ხოლო ილია ჭავჭავაძემ – ირლანდიის თავისუფლების ერთ-ერთი პირველი მგოსნის თომას მურის ლექსები. სვიფტის მძაფრი სატირა მთავრობებზე და პოლიტიკაზე და მურის მგზნებარე პატრიოტიზმი, როგორც ჩანს, კარგად ერგებოდა ქართველ ინტელექტუალთა მიზანს – ქართველებში ეროვნული და ლიბერალური იდეალები გაედვივებინათ. უდავოა, რომ ირლანდიის მძიმე

ისტორია, მათი თავდადებული წინააღმდეგობა, გამძლეობა და ეროვნული იდენტობის შენარჩუნების სურვილი განსაკუთრებით მიმზიდველი აღმოჩნდა ქართველი მწერლებისთვის. ყურადღებას იქცევს ის ფაქტიც, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ირლანდია შედარებით პატარა ქვეყანაა, მან განუზომლად დიდი წვლილი შეიტანა მსოფლიო ლიტერატურის განვითარებაში.

ქართულად თარგმნილი ნივთების რაოდენობა და ირლანდიელი მწერლების ნაშრომებზე დაწერილი ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევები ქართველებისა და ირლანდიელების საერთო ღირებულებებსა თუ მსოფლმხედველობაზე მიგვანიშნებს. აღსანიშნავია, ასევე, რომ ჯონ მილინგტონ სინგი იყო პირველი ირლანდიელი დრამატურგი, რომლის პიესა „გმირი“ გასული საუკუნის 20-იან წლებში ცნობილმა ქართველმა თეატრალურმა რეჟისორმა და საქართველოში პირველი პროფესიული თეატრის დამფუძნებელმა კოტე მარჯანიშვილმა ათარგმნინა და დადგა. სინგს მალევე მოჰყვნენ რიჩარდ შერიდანის, ოსკარ უაილდის, ბერნარდ შოსა და სამუელ ბეკეტის თარგმანები თუ დადგმები. ეს პიესები კარგად შეესაბამება საბჭოთა რეჟიმის დაცემის შემდეგ ახალი დემოკრატიული განვითარების მოლოდინით სავსე ადამიანების იმედგაცრუებას“, – ამბობს მანანა გელაშვილი.

მისივე ინფორმაციით, თარგმანებთან შედარებით, ირლანდიური ლიტერატურის მეცნიერულ კვლევას ჩვენს ქვეყანაში გაცილებით ხანმოკლე ისტორია აქვს და დაკავშირებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპული ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დაარსებასთან. ამ ფაკულტეტმა დაარსებიდან (მე-20 საუკუნის შუა ხანებში) მნიშვნელოვანი როლი შეასრულა არა მხოლოდ დასავლეთ ევროპული ენებიდან მთარგმნელების, ასევე საქართველოში ლიტერატურული კრიტიკოსების/მკვლევრების აღზრდაში. ფაკულტეტის შექმნის შემდეგ, მე-



20 საუკუნის მეორე ნახევარში, დაინერა მრავალი სამეცნიერო სტატია და ნიგნი ისეთ ირლანდიელ ავტორებზე, როგორებიცაა: ჯეიმზ ჯოისი (რომლის შესახებაც, შექსპირის შემდეგ, ყველაზე მეტი ითარგმნა და ყველაზე მეტად არის შესწავლილი საქართველოში), სამუელ ბეკეტი, ჯონათან სვიფტი, აირის მერდოკი, უილიამ ბატლერ იეიტსი და მრავალი სხვა. ამასთანავე ამ პერიოდში შექმნილი თარგმანები (ჯეიმზ ჯოისი, ლორენს სტერნი, ჯონათან სვიფტი და ა.შ.) გამოირჩევა იმით, რომ მეცნიერულ კვლევებს ემყარება.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ესპანეთში გამართულ კონფერენციაზე ქართველ მკვლევართა 3 სრულიად განსხვავებული მოხსენება იქნა წარდგენილი. პროფესორ მანანა გელაშვილის მოხსენება პოეზიისა და პოლიტიკის ანალიზს შეეხებოდა. „საინტერესოა ის ფაქტი, რომ ირლანდიელების მეცხრე პრეზიდენტი ამავე დროს პოეტი იყო, მისი ლექსები გამოქვეყნებულია და ქართულადაც არის ნათარგმნი, რომელიც შეტანილია კრებულში – „ირლანდიური პოეზია“. მოგეხსენებათ, საქართველოს პირველი პრეზიდენტიც – ზვიად გამსახურდია – ასევე მთარგმნელი, პოეტი და ლიტერატორი იყო. სწორედ მან დაიწყო კვლევა ირლანდიური ლიტერატურისა,

კერძოდ, ირლანდიური საგების. ჩვეულებრივ, ითარგმნება და გამოკვლევის საგანი ხდება ის, რაც, მეტ-ნაკლებად, ახლოსაა ქვეყნის პრობლემებთან“, – ამბობს მანანა გელაშვილი.

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ მეორე მოხსენება, რომელიც თამარ გელაშვილმა კონფერენციაზე წარადგინა, ირლანდიურ დრამას შეეხებოდა. „ირლანდიური დრამა პოლიტიზირებულია, რადგან ირლანდიას აქვს დაახლოებით ისეთივე პრობლემები, როგორც აქვს საქართველოს, რაც საშუალებას გვაძლევს დავაკვირდეთ არა მხოლოდ ლიტერატურასა და პოლიტიკას შორის ურთიერთობას, არამედ, პოლიტიკური დისკურსის ცვლილებას ირლანდიაში (მოყოლებული მეორე მსოფლიო ომის დროიდან). ეს კი საშუალებას იძლევა გამოჩნდეს ის ცვლილებები ჟანრის პოლიტიკაში, რომელიც ადრეული პოსტმოდერნიდან მეტაპოსტმოდერნულ დრამამდე მოხდა“, – აღნიშნავს მეცნიერი.

მესამე მკვლევრის, ლიზი ძაგნიძის, მოხსენება მიგრაციასა და იდენტობის პრობლემას იკვლევს თანამედროვე ირლანდიელი მწერლის კოლბ ტობინის ნაწარმოებებში. მანანა გელაშვილის აზრით, ეს პრობლემა დღეს ძალიან აქტუალურია დღევანდელი საქართველოსთვის. „ასე რომ, წინ ბევრი საინტერესო გეგმება... მაგალითად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2027 წელს იგეგმება დიდი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ უცხოელი მკვლევრები და რომელზეც საუბარი იქნება ნათარგმნი ლიტერატურის კვლევის პრობლემებზე საქართველოში. საბოლოო ჯამში კი კვლევის შედეგები შეჯამდება ვრცელ მონოგრაფიაში, რომელსაც ვრცელი ინგლისური რეზიუმე ექნება“, – ამბობს მანანა გელაშვილი.

აღსანიშნავია, რომ კვლევა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გაცემული გრანტის ფარგლებში განხორციელდა.



# ეკონომიკის აქტუალური პრობლემები განიხილეს კონფერენციაზე, რომელიც პაატა გუგუშვილის 120 წლისთავს მიეძღვნა

თაბარ ლალიანი

ეკონომიკურ პრობლემებთან და ეკონომიკურ სტრატეგიებთან იყო დაკავშირებული თსუ-ში გამართული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია – „საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოება: არსებული მდგომარეობა და გამოწვევები“, რომელიც გამორჩეულ ქართველ მეცნიერსა და ეკონომისტს, აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 120 წლისთავს მიეძღვნა. ღონისძიება ორგანიზებული იყო თსუ-ს პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მიერ. პლენარულ სხდომაზე პროფესორ რამაზ აბესაძის მოხსენება შეეხებოდა თემას – „ეკონომიკური უსაფრთხოების გლობალური საფრთხეები“, სადაც განხილული იყო საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში არსებული რისკები და მათი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე.

აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ ისაუბრა ევროპასა და აზიას შორის დამაკავშირებელი კავკასიის სატრანსპორტო დერეფნების შესახებ და აღნიშნა, რომ ზანგეზურის დერეფანი არ უნდა განიხილებოდეს შუა დერეფნის განსტობად, სანამ ამ პოზიციას ჩინეთი თავად არ აღიარებს, რადგან შუა დერეფანი ექსკლუზიურად ჩინური პროექტია. მისი აზრით, კავკასიის მშვიდობიანი განვითარებისათვის აუცილებელია შუა და ზანგეზურის დერეფნების განხილვა არა ალტერნატიულ, არამედ ურთიერთშემავსებელ მარშრუტებად.

პლენარულ სხდომაზე მოხსენებებით ასევე გამოვიდნენ პროფესორები: თემურ შენგელია, იოსებ არჩვაძე, გივი ბედიანაშვილი, ნუგზარ თოდუა და დოქტორანტი გრიგოლ ქარცივაძე, რომლებმაც განიხილეს სახელმწიფოს სასურსათო უსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევები, კულტურული ფაქ-



ტორების ზეგავლენა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ბიზნესგარემოზე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოების მაკროსისტემური პრობლემები და ხელოვნური ინტელექტის გამოყენებისადმი სტუდენტთა დამოკიდებულება უმაღლეს განათლებაში.

კონფერენცია მუშაობას აგრძელებდა სხვადასხვა სექციაში. სექციების მუშაობისას წარმოდგენილი იქნა მრავალფეროვანი სამეცნიერო კვლევები, მათ შორის, ახალგაზრდა ეკონომისტთა ინოვაციური ნაშრომები. მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს საერთაშორისო ეკონომიკურ ინტეგრაციაში საქართველოს როლის ზრდის აუცილებლობას, ეკონომიკური უსაფრთხოების მექანიზმების სრულყოფისა და ეკონომიკური პოლიტიკის სტაბილიზაციის განმტკიცების მნიშვნელობას.

კონფერენციაზე მილოცვები და საუკეთესო სურვილები გამოგზავნეს საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების წარმომადგენლებმა: გაეროს მდგრადი განვითარების გადამწყვეტილებათა ქსენერის პრეზიდენტმა, კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორმა ჯეფრი საქსმა, ნიუ-იორკის უნივერსიტეტის პროფესორმა ჯოშუა ბერნსტაინმა, გაეროს ეკონომიკური კომისიის – ევროპისთვის – დეპარტამენტის დირექტორმა ელიზაბეთ ტუერკმა, კალიფორნიის ბერკლის უნივერსიტეტის პროფესორმა ფრენც



არაუჰომ, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორმა, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნევრ-კორესპონდენტმა მიხაილ გოლოვინინმა და სხვებმა. მათი წერილები ერთხმად უსვამდა ხაზს პაატა გუგუშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობის საერთაშორისო მნიშვნელობასა და ეკონომიკის ინსტიტუტის წარმატებულ საქმიანობას.

## პაატა გუგუშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი ეპიზოდები

120 წლისთავზე აკადემიკოს პაატა გუგუშვილის მიერ განვლილ მეცნიერულ გზასა და მის ღვაწლზე ისაუბრეს მეცნიერებმა, რომლებიც პაატა გუგუშვილის მემკვიდრეებად მოიაზრებიან.

თსუ-ს პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი რამაზ აბესაძე: „აკადემიკოს პაატა გუგუშვილს მიუძღვის გადაწყვეტი ნული საქართველოში ეკონომიკური სამეცნიერო სკოლის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. განსაკუთრებულია მისი დამსახურება ეკონომიკის პირველი სამეცნიერო კერის – ეკონომიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის – დაარსებაში, რომლის უცვლელი დირექტორი იყო 32 წლის განმავლობაში. დღევანდელი დღე დასტურია იმისა, რომ მის სახელს დიდ პა-

ტივს მიაგებს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. ინსტიტუტს შეუძლია უპაატაოს მის დამაარსებელს, რომ, მიუხედავად ხელოვნურად შექმნილი წინააღმდეგობებისა, პროგრესული საზოგადოების, დედა უნივერსიტეტისა და მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის თანადგომით იგი წარმატებით იწარჩუნებს და აგრძელებს იმ ტრადიციებს, რომელთაც მისმა პირველმა თაობამ ჩაუყარა საფუძველი და ახალ პირობებში კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აყვავდა“.

აკადემიკოსი ავთანდილ სილაგაძე: „მე ერთ-ერთი იმთავანი ვარ, ვინც პაატა გუგუშვილის ლექციებს ვისმენდი სწორედ იმ აუდიტორიაში, რომელსაც დღეს მისი სახელი ჰქვია. მისი კაპიტალური ნაშრომები სამხრეთ კავკასიის ეკონომიკასთან დაკავშირებით შეუცვლელი და საფუძვლიანი კვლევებია, რომელთაც ვერ აუვლის გვერდს ვერც ერთი მომავალი მკვლევარი. საოცარია, როგორ შეძლო ერთმა ადამიანმა ამდენი მასალის გააზრება და გამოკვლევა – ეს ნამდვილი მეცნიერული გიმრობაა“.

პროფესორი თემურ შენგელია: „ის იყო ადამიანი, რომელმაც პირველმა დაიცვა დისერტაცია ეკონომიკაში, პირველი გახდა აკადემიკოსი ეკონომიკურ მეცნიერებაში, დაიწყო ეკონომიკური ტერმინოლოგიის შემუშავება და დააარსა ჟურნალი „საქართველოს ეკონომიკა“.

თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი გიორგი დაღანიძე: „პაატა გუგუშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა არის შუქნიშანი იმისა, თუ საით უნდა იაროს მომავალმა თაობებმა. ის იყო ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი ეკონომიკური სკოლისა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ევროპაშიც. მისი ერუდიცია და შრომის კულტურა დღემდე რჩება სამაგალითოდ“.

## გახსენება

თსუ-ს საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელი, პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი თედო დუნდუა გარდაიცვალა 14 ოქტომბერს.

თედო დუნდუა ოთხი ათეული წლის განმავლობაში პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობას ეწეოდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ქართულ და უცხოურ ენებზე გამოქვეყნებული აქვს ასობით პუბლიკაცია საქართველოს სხვადასხვა ეპოქის ისტორიის, ქართული ნუმიზმატიკის, ეპიგრაფიკის, ისტორიის ფილოსოფიის საკითხებზე. მისი სამეცნიერო ნაშრომები გამოირჩეოდა სრულიად ახალი ხედვით, განსაკუთრებით კი – ისტორიული პროცესების ფილოსოფიურად გააზრებით.

უცხოურ ენებზე გამოქვეყნებული ნაშრომებით თედო დუნდუას დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის საქართველოს ისტორიის შესწავლისა და პოპულარიზაციის საქმეში. მისი ნაშრომების დიდი ნაწილი ინგლისურ ენაზეა გამოქვეყნებული. ამით მან საქართველოს ისტორიისგან დაკავშირებული მრავალი საკითხის აქტუალურობა მოახდინა და უცხოელი მკვლევრების ყურადღება მიაპყრო როგორც უკვე კარგად, ისე ნაკლებად შესწავლილ საკითხებს. მას ახლებურად ჰქონდა გადააზრებული ისტორიოგრაფიის აქტუალური საკითხები. აღსანიშნავია, რომ მისი კვლევის ინტერესის საგანს წარმოადგენდა ევროპის შექმნა და ევრო-

## თედო დუნდუას კოლეგები იხსენებენ

პის ინტეგრაციის ისტორიული ფორმები, რასაც ათწლეულების განმავლობაში ასწავლიდა საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მისი დამსახურება ისტორიის ფილოსოფიის განვითარების საკითხში. ციკლური განვითარების თეორია, რომელიც ადრეულ ისტორიოგრაფიაში არსებობდა, მან ხელახლა ააღორძინა და სათანადო ფაქტებზე დაფუძნებით კიდევ უფრო მეტად განავითარა. ამავდროულად, მან შექმნა თეორიული ჩარჩო, რომლის ფარგლებშიც ისტორიკოსებს შეუძლიათ ისტორიული წარსულის გააზრება. აღსანიშნავია, რომ მისი თეორიები არა მხოლოდ ქართული, არამედ მსოფლიო ისტორიოგრაფიისთვისაც მნიშვნელოვანი შენაძინა.

მისი სადოქტორო დისერტაცია „ქართული ეთნოკულტურული ევოლუცია და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით“ სწორედ ამ კონცეპტუალური ჩარჩოს ფარგლებში განიხილავს საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებულ მრავალ საკითხს. ამასთან, ყველაფერი გააზრებულია ნუმიზმატიკური მასალის საფუძველზე. თამამად შეიძლება ითქვას, რომ პირველ რიგში ამ ნაშრომით თედო დუნდუა ქართული ისტორიოგრაფიისთვის იყო უკანასკნელი დიალექტიკოსი.

ქართული ნუმიზმატიკა მისი განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენდა. მან გიორგი დუნდუასთან თანაავტორობით ქართული ნუმიზმატიკის შესახებ ორტომეული გამოაქვეყნა. მოგვიანებით, 2013-2015 წლებში,

საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ბაზაზე, მისი ხელმძღვანელობითა და ინსტიტუტის წევრთა მნიშვნელოვანი ნაწილის ჩართულობით განხორციელდა პროექტი „ქართული ნუმიზმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ-კატალოგი“ (შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით). კატალოგს მნიშვნელოვანი აღიარება და გამოხმაურება მოჰყვა მსოფლიოს ნამყვანი უნივერსიტეტებისგან, მათ შორისაა ნიუ-იორკის და ოქსფორდის უნივერსიტეტები. 2021 წელს კატალოგის ინგლისური ვერსია მეორედ გამოიცა ათენში, ბერძნული გამოცემის ინიციატივით. 2022 წელს ნუმიზმატიკის XVI მსოფლიო საერთაშორისო კონგრესზე თედო დუნდუა ხელმძღვანელობდა ქართული ნუმიზმატიკის შესახებ სპეციალურ სესიას, რომელიც მთლიანად მიეძღვნა ქართული ნუმიზმატიკის წარმოჩენას. სესიაზე წაკითხული მოხსენებები კატალოგის გარკვეულ გაგრძელებას წარმოადგენდა.

ბოლო წლებში თედო დუნდუამ განახორციელა ბოლო პროექტი „აფხაზეთი საქართველოა. ისტორიულ-ნუმიზმატიკური ნარატივი“. ნაშრომში მან დაასაბუთა, რომ მონეტები, რომლებიც ისტორიულად მიმოიქცეოდა აფხაზეთის ტერიტორიაზე, ასევე ცირკულაციაში იყო დანარჩენი საქართველოს ან დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, რაც ადასტურებს იმას, რომ აფხაზეთის სამონეტო ბაზარი სრულად თანხვედრაში იყო დანარჩენი საქართველოს სამონეტო ბაზართან, ხოლო ისეთ ისტორიულ



პერიოდებში, როდესაც საქართველო არ იყო ერთიანი, აფხაზეთის სამონეტო ბაზარი დასავლეთ საქართველოს სამონეტო ბაზრის იდენტური იყო.

თედო დუნდუას ლექციებს ისტორიკოსთა არაერთი თაობა აღფრთოვანებით ისმენდა. გარდა ამისა, მან აღზარდა მკვლევარ ისტორიკოსთა თაობა, რომელიც გამოირჩევა განსაკუთრებული პროფესიონალიზმით და საქმის ერთგულებით. იგი აქტიურად თანამშრომლობდა, სამეცნიერო თვალსაზრისით, მის აღზრდილ ისტორიკოსებთან ერთად და მათთან თანაავტორობით გამოცემული აქვს არაერთი სტატია და ნიგნი.

მისი სახით გამორჩეული, განსაკუთრებულად ერუდირებული და ორატორული ნიჭით დაჯილდოებული ლექტორი, საერთაშორისო დონის მკვლევარი და მეცნიერი დაკარგა ქართულმა აკადემიურმა, სამეცნიერო სივრცემ და სრულიად საქართველომ.

თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი



# სამეცნიერო ფესტივალი – „განათლება და მეცნიერება რეგიონის ეკონომიკური განვითარებისათვის“

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მონაწილეობა მიიღო სამეცნიერო ფესტივალში – „განათლება და მეცნიერება რეგიონის ეკონომიკური განვითარებისათვის“, რომელიც საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა.

ფესტივალის ფარგლებში მოეწყო სამეცნიერო კონფერენცია, რომლის მონაწილეებს სიტყვით მიმართა თსუ-ს რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ. კონფერენციის მიზანს წარმოადგენდა განათლებისა და მეცნიერების ურთიერთკავშირის გაძლიერება და მათი ერთობლივი პოტენციალის გამოყენება რეგიონული განვითარების ხელშეწყობისათვის.

ლონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი გივი მიქანაძე, მინისტრის მოადგილე ზვიად გაბისონია, კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული გიორგი ალადაშვილი, სამინისტროს ხელმძღვანელი პირები და კახეთის რეგიონის წარმომადგენლები.

უნივერსიტეტის ეზოში წარმოდგენილი იყო სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო მიღწევები და ინოვაციური პროექტები – როგორც კვლევითი, ისე პრაქტიკული მიმართულებით.



მთავარი რედაქტორი

ნინო კაკულია

მთავარი სამცხალისტი

მაია ტორაძე

ტექნიკური რედაქტორი

ირმა სულიაშვილი

შურაწლისტები:

თამარ დადიანი  
შურთხია ბეროშვილი  
ნინო ჩარკვიანი

კონსულტანტი

მერაბ კოკოჩაშვილი

ფოტოკორესპონდენტი

გიზო ყუფარაძე

კომპ. უზრუნველყოფა

მიხეილ თვარაძე

რედაქციის წევრები:

მანანა შამილიშვილი,  
იაგო კაჭკაჭიშვილი,  
ირმა რატიანი,  
ირინე დარჩია,  
თინათინ ბოლქვაძე,  
ვლადიმერ პაპავა,  
ეთერ ხარაიშვილი,  
რევაზ გველესიანი,  
ეკატერინე ფირცხალავა,  
ნინო გაჩეჩილაძე,  
თემურ ნადარეიშვილი,  
ლელა ჯანაშვილი,  
მაია ივანიძე,  
მამუკა მარგველაშვილი,  
გია ლობჯანიძე,  
ნინო უგრეხელიძე

მისამართი:

ილია ჭავჭავაძის გამზ. 11<sup>ა</sup>  
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)

☎ 577 52 77 73

ვებგვერდი:

gazeti.tsu.ge

ელ.ფოსტა:

nino.kakulia@tsu.ge



gazeti.tsu.ge

გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ თვეში ერთხელ გადის სახით გამოცემა.

ახალი ყოველდღიურ ჩვენს ვებ-გვერდს  
gazeti.tsu.ge

მოგვარდეთ ინფორმაცია გასაუქმებლად და გაეცანით საუნივერსიტეტო სიახლეებს

